# მენორა

გამოდის 1993 წლის მარტიდან
**2000 წლის მარტიდან გამოდის თვეში ორჯერ**
გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
**WWW.opentext.ge/menora**

სამყარო სამ საყრდენზე დგას: თორაზე, ღ-თის სამსახურსა და ქველმოქმედებაზე — ფირკეი ავოთ

ებრაული გაზეთი საქართველოში
**MENORA JEWISH NEWSPAPER IN GEORGIA**
"מנורה" עיתון יהודי בגורגיה
**„МЕНОРА" ЕВРЕЙСКАЯ ГАЗЕТА В ГРУЗИИ**

ნოემბერი (ქისლევი) 15-30
№22 (238)
(5767 წელი)
2006 წელი
ფასი 50 თეთრი

מנורה


# საქართველოს თავდაცვის ახალი მინისტრი



ნოემბრის პირველ დღეებში საქართველოს მთავრობაში ფიგურები გადაადგილდა – საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილებით, რამდენიმე მინისტრმა ადგილი იცვალა – ყველაზე თვალსაჩინო მოვლენა თავდაცვის მინისტრის ბ-ნი ირაკლი ოქრუაშვილის ეკონომიკის მინისტრად გადაყვანა და მის ადგილზე საფინანსო პოლიციის უფროსის დავით კეზერაშვილის დანიშვნა გახლდათ.

ასეთ მაღალ, ერთობ მნიშვნელოვან პოსტზე საქართველოში ებრაელი კაცი პირველად ინიშნება. საქართველოს მთავრობაში ებრაელებს სჭერიათ ესა თუ ის პოსტი, მაგრამ ესოდენ საპასუხისმგებლო, გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე – არასოდეს.

დავით კეზერაშვილი ნაციონალური პარტიის ერთ-ერთი დამკვრელი ძალაა. ხოლო თანამდებობაზე იგი არა მხოლოდ თავშეკავებით, მოვლენების აუჩქარებელი ანალიზით, პარტიის იდეალებისადმი უდიდესი ერთგულებით გამოირჩევა. მან დიდ წარმატებას მიაღწია საფინანსო პოლიციის ხელმძღვანელად მუშაობისას, ალბათ, ამანაც განაპირობა ის, რომ დღეს იგი ასეთ დიდ თანამდებობაზე დაინიშნა.

ერთ გარემოებასაც მივაქცევთ მკითხველის ყურადღებას: დ. კეზერაშვილის თავდაცვის მინისტრის პოსტზე დანიშვნა საქართველოს პრეზიდენტის მიხ. სააკაშვილის ტოლერანტულ ბუნებაზეც მეტყველებს – მისთვის მთავარია ადამიანის არა ეროვნული, რელიგიური წარმომავლობა, არამედ იდეალებისადმი ერთგულება, პიროვნული თვისებები.

და კიდევ: დ. კეზერაშვილის ოჯახის ღირსებად უნდა ჩაითვალოს ის, რომ პარტიული თუ სახელისუფლებო წარმატება მათთვის არ გამხდარა ეროვნული ტრადიციებისადმი ზურგისქცევის საბაბი – ისინი კვლავდაკვლავ ჩვეულებრივი ებრაული ოჯახისთვის დამახასიათებელ სანაქებო ყოფას ეწევიან.

გაზეთ „მენორას" რედაქცია ულოცავს ბატონ დ. კეზერაშვილს ასეთ მაღალ პოსტზე დანიშვნას, უსურვებს წარმატებებს და გამოსთქვამს რწმენას, რომ იგი ისევე ერთგულად დაიცავს საქართველოს ღირსებას და ინტერესებს, როგორც მისი წინა თაობების ებრაელებს არაერთხელ დაუცავთ.

# ევრო–აზიის კონგრესი გვატყობინებს:

27 ოქტომბერს სომხეთის დედაქალაქ ერევანში ხოლოკოსტისა და ოსმალეთის იმპერიაში სომეხთა გენოციდის ძეგლი გაიხსნა. მისასალმებელი სიტყვა ცერემონიალის გახსნაზე წარმოსთქვა ეაეკ-ს გენერალური საბჭოს წევრმა, სომხეთის ებრაული თემის თავმჯდომარემ რიმა ვარჟაპეტიან-ფელერმა.

ცერემონიალს ესწრებოდნენ: სომხეთის მინისტრები, უცხოეთის საელჩოს წარმომადგენლები, სომხეთის ეროვნული კავშირი, ასევე სომხეთის მთავარი რაბინი ჰერშ მეირ-ბურშტეინი.

მიტინგზე, რომელიც მემორიალის გახსნას მიეძღვნა, სიტყვებით გამოვიდნენ: სომხეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის მრჩეველი სერგო ერიციანი, პრეზიდენტის მრჩეველი რელიგიურ და ეროვნული უმცირესობის საკითხებში გრანუშ ხარატიანი, სომხეთის ებრაული თემის მზრუნველთა საბჭოს თავმჯდომარე ალექსანდრე პორიადოჩნი, სომხეთის რესპუბლიკური პარტიის წარმომადგენელი გაგიკ მელიკიანი, ამერიკის ასამბლეის სომხეთის წარმომადგენელი არპი ვარდანიანი და სომხეთში უსაფრთხოების და ევროპასთან თანამშრომლობის ორგანიზაციის წარმომადგენელი ჟანეტ კლეცერი.

ძეგლი განთავსებულია ერევნის ცენტრში, ხოლოკოსტის მსხვერპლთა მემორიალური ქვის ადგილზე. ძეგლის ავტორია, ცნობილი სომეხი არქიტექტორი რუბენ არუჩიანი.

მემორიალის კომპოზიცია შეადგენს 2 ბაზალტის სტელას, რომელიც ორი უძველესი – სომეხი და ებრაელი ერის ხვედრის სიმბოლოა. სტელა წარმოადგენს ორ სამკუთხა პრიზმას, რომელიც ერთმანეთზე დადებისას ქმნის ექვსქიმიანი ვარსკვლავის კონტურს. სტელებზე ამოტვიფრულია წარწერები სომხურ და ებრაულ ენებზე: „ხოლოკოსტისა და გენოციდის მსხვერლთ" – „ცხოვრება დაუვიწყარია".

* * *

2006 წლის 10-12 ნოემბერს ქ. ეკატერინბურგში მეორე ახალგაზრდული სემინარი ჩატარდა. პროექტი „არაფორმალური განათლება და ახალგაზრდა აქტივისტთა და ებრაული ორგანიზაციების ლიდერთა მომზადება", სვერდლოვსკის ებრაული კულტურის საზოგადოება „ატიკვამ" ჩაატარა.

სემინარის თემა იყო „ებრაული თემისა და ორგანიზაციის ახალი ისტორია". ღონისძიებაში მონაწილეობა 24 ადამიანმა მიიღო: ეკატერინბურგიდან, ნიჟნი ტაგილიდან და კამენსკა-ურალიდან.

მეცადინეობებს ატარებდნენ: ევრ-აზიის ებრაული კონგრესის გენერალური საბჭოს წევრი, სვერდლოვსკის მხარის ებრაული ნაციონალურ-კულტურალი ავტონომიის პრეზიდენტი მიხეილ ოშტრახი. სვერდლოვსკის ებრაული კულტურის საზოგადოება „ათიკვას" წევრი ზინაიდა ინანინა და ეკატერინბურგის იუდაისტური თემის – „იეჰუდიმ" თავმჯდომარის მოადგილე ევგენი ტარანი.

სემინარის პროგრამაში ჩატარდა ლექციები: „იუდაიზმის ძირითადი მიმდინარეობა", „ებრაული თემის სტრუქტურის ზოგიერთი მაგალითები და სხვადასხვა სახელმწიფოების ორგანიზაციები", „მაღალი წრის ძირითადი ებრაული საერთაშორისო ორგანიზაციები, ისტორიის წარმოშობა, მისია, როლი", განხილულ იქნა თორის საკვირაო თავი, ჩატარდა ინტელექტუალური დავალებები, კაბალათ შაბათისა და ჰავდალას ცერემონიალი.

სემინარი ჩატარდა: The Dutsch jewish Humaniteirien Fund (ნიდერლანდები) The jewish federation of southen Arizona (აშშ) და რუსეთის ვაადის მხარდაჭერით. მადლიერება ტექნიკური დახმარებისთვის ორგანიზატორებმა „მედია პროექტის" (რუსეთი) მიმართ გამოხატეს.

პრეს-რელიზი

# ღაზას სექტორიდან ისრაელის მოქალაქეებისათვის საფრთხე იზრდება

## საქართველოში ისრაელის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის შაბთაი ცურის განცხადება



საქართველოში ისრაელის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის, შაბთაი ცურის განცხადებით, ბოლო დროს გახშირდა ღაზას სექტორში მოქმედი პალესტინელი ტერორისტების დაჯგუფებების ფართომასშტაბიანი შეტევების მცდელობა ისრაელის მოსახლეობაზე. გასული წლის ზაფხულში ღაზას სექტორში დაშორიშორების შემდეგ, ღაზას სიახლოვეს მდებარე ისრაელის დასახლებული პუნქტების მიმართულებით პალესტინელებმა 1500-ზე მეტი „ქასამის" ტიპის რაკეტა გაუშვეს, მათ შორის 1201 ისრაელის ტერიტორიაზე დაეშვა, რის შედეგადაც დაიღუპა შვიდი ისრაელელი, ერთი უცხოელი და ორი პალესტინელი მშვიდობიანი მოსახლე, ასზე მეტი კი – დაშავდა.

„ბოლო ხანს პალესტინელი ტერორისტები ისრაელში შეღწევას სამედიცინო დახმარების მიღების საბაბით ახერხებენ. ღაზას სექტორიდან ისრაელის ტერიტორიაზე თვითმკვლელი ტერორისტების შესაგზავნად ასევე იყენებენ ისრაელ-ეგვიპტის საზღვარს სინაიში," – აცხადებს ისრაელის ელჩი.

გარდა იმისა, რომ პალესტინელი ტერორისტები მშვიდობიანი მოსახლეობის საცხოვრებელ ადგილებში იკავებენ პოზიციებს და მჭიდროდ დასახლებული უბნებიდან უშვებენ რაკეტებს, ბოლო ხანს ისინი ახდენენ მშვიდობიანი მოსახლეობის მობილიზაციას, რათა საკუთარი თავი ისრაელის კონტრ-ტერორისტული ოპერაციებისაგან დაიცვან. ამის მაგალითად გამოდგება, 18 ნოემბერს მომხდარი ფაქტი, როდესაც ისრაელის თავდაცვის ძალებმა გააფრთხილეს ბეით ლახიას მოსახლეობა დაჯგუფება – „სახალხო წინააღმდეგობის კომიტეტის" ერთ-ერთი ხელმძღვანელის მუჰამედ ბარუდას სახლზე მოსალოდნელი ანტიტერორისტული იერიშის შესახებ. ამ გაფრთხილებიდან უმოკლეს ხანში ბარუდმა ასეულობით პალესტინელს, მათ შორის ქალებსა და ბავშვებს მოუწოდა გარს შემორტყმოდნენ შენობას.

„იერიშის სამიზნესთან მშვიდობიანი მოსახლეობის სიახლოვის გამო ისრაელის კონტრ-ტერორისტული ოპერაცია ჩაიშალა. ეს ფაქტი ნათელი დემონსტრირებაა იმისა, რომ პალესტინელებმა კარგად იციან – ისრაელი გაცილებით უფრო მეტად უფრთხილდება მშვიდობიანი მოსახლეობის სიცოცხლეს, ვიდრე ტერორისტები," – აცხადებს ისრაელის ელჩი საქართველოში.

## ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრს ქალბატონ ციპი ლივნის, ისრაელის საგარეო საქმეთა სამინისტროს დეპარტამენტის თავმჯდომარეს ბატონ არონ აბრამოვიჩს

ქალბატონო მინისტრო,
ბატონო თავმჯდომარევ!

მაქვს პატივი მოგახსენოთ, რომ უძველესი წარმომავლობის ორი ერის – ებრაელებისა და ქართველების მრავალსაუკუნოვანი მეგობრობის კიდევ უფრო განმტკიცებას, პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ სფეროში მჭიდრო თანამშრომლობისა და პარტნიორობის ბერკეტების წარმატებით განხორციელებას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ისრაელის სახელმწიფოს საელჩოში ორი წლის წინათ განხორციელებულმა ახალმა მონაცვლეობამ. საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის თანამდებობაზე ნათელი და გონიერი პოლიტიკოსის ბატონი შაბთაი ცურის დანიშვნამ. ამასთანავე ბუნებრივია არ ვივიწყებთ ბატონი ელჩის წინამორბედების ნაყოფიერ საქმიანობას საქართველოში.

ბატონი შაბთაი ცურის პიროვნულმა მახასიათებელმა, ადამიანებთან ახლოს დგომამ, ტაქტმა, ქართული ენის ბრწყინვალედ ცოდნამ ახალი ძალა და დინამიზმი შემატა საელჩოს საქმიანობას.

ბატონი შაბთაი ცურის, საელჩოს პირველი მდივნის, კონსულის – ქალბატონ მეირა საგის და საელჩოს სხვა მუშაკების ყოველდღიური დაძაბული და ნაყოფიერი შრომა ღირსეულად წარმოაჩენს ისრაელის სახელმწიფოს და მისი ხალხის ეროვნულ და კულტურულ პროგრესს, წარმატებებს ეკონომიკურ და სოციალურ სფეროში.

კმაყოფილებით მინდა აღვნიშნო, რომ უკანასკნელ ორ წელიწადში ელჩმა თვისობრივად გარდაქმნა და დახვეწა დიასპორასთან ურთიერთობა, რასაც უდიდესი კმაყოფილებით და მადლიერებით აღიქვამენ საქართველოში მცხოვრები ებრაელები.

საქართველოს მრავალეროვან მოსახლეობაში ფუნდამენტალურ საკითხებს, რომლებიც ეხება ისრაელის სახელმწიფოს მეცნიერულ და ტექნოლოგიურ მიღწევებს, კულტურის და ისტორიის პროპაგანდას, მომსახურეობის კულტურას, ინვესტიციებს, ეროვნულ თვითმყოფადობას, ენას, დამწერლობას, სარწმუნოებას, ელჩი კეთილგანწყობის საფუძველზე მკაფიოდ განსაზღვრული წესებით და დადგენილი პარამეტრების შესაბამისად ანხორციელებს.

კარგახსნილობით, საქართველოს სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის, ეროვნული ინტერესების, სტრატეგიული კურსის პატივისცემით, ისრაელის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი წარმატებით ასრულებს მის წინაშე მდგარ ამოცანებს და დამსახურებული პატივისცემით და ავტორიტეტით სარგებლობს საქართველოში.

**უღრმესი პატივისცემით**
**ანზორ ბალუაშვილი**
**საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანი,**
**იუსტიციის სახელმწიფო მრჩეველი**

# საქართველოს ებრაელთა სულიერი მემკვიდრეობა

ისხაკ დავიდი

### წ

წყალი მღვრიე ნახო – ცუდია, წმინდა – ძალიან კარგია.

წყლის ხმა გაიგონო – სხვასთან ლაპარაკი მოგივა.

წყალი მომავალი ნახო – კეთილი რამის ნიშანია.

წყალი აყროლებული ნახო – ცუდი საქმე შეგემთხვეს.

წყალობის მიღება ვისმესაგან – ძალიან კარგი ნიშანია.

წამლის სმა – უნებურად ცუდი საქმე დაგემართოს.

წყლის იხვი ნახო ანუ ბატი – კარგი ნიშანია.

წოლა ლოგინში – ავადმყოფობის ნიშანია.

წყაროს წყლის დალევა – კეთილია.

წიგნი დაგლეჯილი თუ გეჭიროს – ავად გახდები.

წვერი გაიპარსო – ზიანისა და ნაღველის ნიშანია.

წვერი თუ გაგეზარდოს – შნოება და სახელი მოგემატოს.

წყაროს ნახვა – კარგია, თუ დამშრალია – ცუდია.

წვიმის ხმა გესმოდეს – ჩხუბი მოგივა ვისმესთან.

წისქვილი – ბედნიერების ნიშანია.

წირვის ხმა გესმოდეს – ჩხუბი მოგივა ვისმესთან.

წყალი წმიდა თუ დალიე – კეთილია.

წისქვილის აშენება – დიდობისა და ბედნიერების ნიშანია.

წისქვილში მისვლა – ცუდია, გაჭირვებაში ჩავარდები.

წიწილა – რამეს შეიმატებ, გამდიდრდები.

### ჭ

ჭარხლის დათესვა – კარგია, ჭამა – კი ძალიან ცუდი ნიშანია.

ჭაობიანი ადგილი – უძლურებისა და ავადმყოფობის ნიშანია.

ჭიდან წყლის ამოღება – კეთილი ნიშანია და შემატება.

ჭაში ჩავარდე – მეტისმეტი შეჭირვებისა და მოწყენილობისაა.

ჭიანჭველების ნახვა – კარგია და კეთილი, მხოლოდ დახოცვა – ცუდია.

### ხ

ხატვა ნახო რაიმესი – კეთილს დაამხობ.

ხიდი ჩაგიტყდეს ანუ ჩახეტილი ნახო – სიკვდილის ნიშანია.

ხელგახსნილი შენი თავი ნახო – სიმდიდრეს მალე მოეწევი.

ხორცის მჭამელი ფრინველი თუ ნახე – ცუდი ამბავია.

ხმა ტკბილი გესმოდეს – სასიხარულო დღეებს მოეწევი.

ხარდალი ნახო ანუ შეჭამო – მაინცდამაინც ცუდი საქმეა.

ხარის ნახვა – ხან კეთილია და ხანაც ავი საქმეა.

ხეს ფოთოლი სცვიოდეს – ომიანობისა და ჩხუბის ნიშანია.

ხე ნაყოფის მომცემი – კარგია, სარჩო და საცხოვრებელი შეგემატოს.

ხის წაქცევა – კაცის სიკვდილს მოასწავებს.

ხახვის ნახვა ანუ ჭამა – სიმწარის ნიშანია.

ხორცის ნახვა ანუ ჭამა – ცუდი განსაცდელის ნიშანია.

ხალხის ყრილობა ნახო – ავი საქმე დაგემართოს.

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „მ“ № 10-21)

ხმა ყვირილისა მოგესმას – სხვები მტრობას გაგიწევენ.

ხარბობა სიზმრად – მეტად ცუდი საქმეა.

ხორბლის დათესვა – საკეთილოა და კარგი.

ხელები შეგეღებოს – რამეს შეიმატებ. გამდიდრდები.

### ჯ

ჯვარი თუ გამოართვის ვისმეს – ავი საქმე შეგემთხვას.

ჯვარი ოქროსი თუ იპოვნო – საწადელი შეგისრულდეს.

ჯვარის დაწერა ვისმესთან საყდარში – კეთილია.

ჯოჯოხეთში შესვლა – ცოდვის დამძიმების ნიშანია.

ჯდომა ფეხმოკეცილი – ცუდი და მძიმე ფიქრის ნიშანია.

ჯაჭვი თუ ყელზე ჩამოიკიდე – კადნიერების ნიშანია.

ჯაჭვით დაბმული შენი თავი ნახო, ანუ სხვა – მაინც ცუდია.

ჯარის ნახვა – საყოველთაოდ მწუხარების ნიშანია, ცეცხლის წაკიდებას მოასწავებს.

### ჰ

ჰაერში ფრენდე – ბედნიერებას მიაღწიო.

ჰაერი წმინდა ნახო – ბედნიერებას მიაღწიო.

## რაბი იეშაია ბენ იოსეფი – საქართველოში ებრაული მისტიკურ-თეოლოგიური მიმართულების განმაახლებელი

რ. იეშაია ბ. იოსებ თბილისელს (რიშბი) ჩვენ ცალკე თავი დავუთმეთ ჩვენს ებრაულენოვან ნაშრომში „კავკასიის ებრაელთა ისტორია პალესტინაში“ (თელ-ავივი, 1982, გვ. 372-393). მისი მონუმენტური ფიგურა, ღრმა სარწმუნოებრივი დვრიტით გაჟღენთილი ნაწარმოებები წარუშლელ კვალს სტოვებენ არა მარტო კავკასიის არეალს (საქართველო, აზერბაიჯანი), არამედ შუა აზიისა და მთელი მახლობელი აღმოსავლეთის რელიგიურ-თეოსოფიურ აზროვნებაზე. „რიშბი“ ესეც ისრაელს აღორძინებაზე ოცნებობს, მასში ებრაული გაფანტულობის შეკრება-გაერთიანებაზე, სხვადასხვა რელიგიური ტენდენციების (ისლამი, ქრისტიანობა, მონღოლები) მკვეთრი დაპირისპირების ფონზე. „რიშბის“ კალამს ეკუთვნის 6 წიგნი: 1) „სიბრძნით ხის საიდუმლოებისა“ 2) „სამოთხისა“ (სეფერ გან იედენ) 3) „წიგნი ღირსეულობისა“, 4) წიგნი სადარბაზოთა“ (ფირკე ჰეხალოდ) 5) წ-ნი საშიშარი თაჯისა და 6) წ-ნი სიცოცხლის ხისა (სეფერ იეც ჰახაიმ. დიდი ნაწილი ამ ნაშრომებისა ჩვენი ვარაუდით შეითხზა და დაიწერა 1340-1350-იან წლებში.

საქართველოს დედაქალაქ თბილისში რ. იეშაია ბ. იოსების აზრით სულები განიცდიან გილგულს ანუ მეტემფსიქოზს (სულთა მიგრაცია). წმინდა სული მიჰყვება რა სიბრძნის ბილიკთ, უზენაეს საფეხურებს აღწევს და ეწებება განცალკევებულ საზრისებს, რომლებიც გამოკრულნი არიან სიცოცხლის კონებში. ავტორის შეხედულებთ, სარწმუნეობა, უპირველეს ყოვლისა, ასახავს სამყაროს ზნეობრივ-ეთიკურ მდგომარეობას, უზენაესის გამოცხადების მეშვეობით, წმინდა საზრისის გზით, რომელიც განცალკევებულია და განმარტოებულიც. სარწმუნოებითი არსის გარეშე, შეუძლებელი იქნებოდა ადამიანური ზნეობრივი ნორმების შექმნა, რამდენადაც ადამიანი ვითარცა მცირე სამყარო (მიკროკოსმი) შედგება როგორც ზედა ნაწილისაგან (სული, ტვინი), ასევე ქვედა ნაწილისაგან (პირუტყვულობა, ხორციელება). მას არ შეუძლია იყოს პასუხისმგებელი საკუთარ თავსა თუ ნამოქმედარზე, თუ კი არ ექნება გაცნობიერებული „გამოსხივებადი მიზეზთ მიზეზი“, რომელიც განივსება და აღავსებს მთელს სამყაროს. ებრაული რწმენით – ფენომენის მნიშვნელობა, რიშბის აზრით იმაში მდგომარეობს, რომ მან ღვთაება წარმოსახა მოწმის, მუნ-მარად-მყოვრის როლში. გამოცხადების ფენომენი და წინასწარმეტყველება მოიცავენ ადამიანის წმინდა საზრისიერ ნაწილს და ფაქტიურად ადასტურებენ თეზისს, რომ ღმერთი აღავსებს სამყაროსეულ ყოვლიერებას.

გამოცხადება ანუ რეველაცია ადამიანს ანიჭებს ინფორმაციას ღვთაების სურვილისა თუ წადილის შესახებ. სამაგიეროდ, წინასწარმეტყველება წარმოაჩენს ადამიანში არსებულ ეთიკურ-ზნეობრივ მხარეს. გამოცხადების ფენომენი უმაღლესი ფილოსოფიური ანუ სიბრძნისმეტყველებითი პროცესია, ესაა ღმერთშემეცნების უზენაესი საფეხური, რიბში როდი ცდილობს რელიგიის გასაზრისიერებას, პირიქით, მისი ყურადღება მიმართულია ფილოსოფიის მიღმითი გონის ჩართვისაკენ სარწმუნოებით ცნობიერებაში. რიშბის გაგებით, ფილოსოფია ჭეშმარიტი სინამდვილის ცოდნაა, უმაღლესი პრინციპების საერთო მოაზრების ცდა, რომლებიც განსაზღვრავენ არსებულ სინამდვილესა და დინამიურ ქმნადობას შორის არსებულ რთულ ურთიერთობებს. რიშბი თანმიმდევრულად ანვითარებს კონცეფციას, რომ სამყაროს განახლება და სულის გადარჩენა სხეულისგან გამოყოფის შემდეგ მყარი, დაურღვეველი ცნებებია. სამყარო მთელი თავისი შემცველობით სამ ნაწილად იყოფა: 1) სულიერი ნაწილი ანუ განცალკევებულ საზრისთა მსოფლიო – ზეცა. 2) პლანეტების ნაწილ – შუალედი ცისიერი რგოლი. 3) პირვანდელი მატერია – ქმნადობისა და დაღუპვის სამყარო ანუ დედამიწა. ადამიანი შეიმეცნებს მხოლოდ მას, რასაც შეიგრძნობს, ანუ არსებულ ფიზიკურ მსოფლიოს. ზემოური სამყარო ადამიანური შეგრძნებით მცდელობის მიღმა რჩება და ამდენად, ვერც შეიმეცნება. სინამდვილეში იგი წარმოადგენს ჭეშმარიტ განცალკევებულ საზრისს, რომელიც გამყოფი ფარდის იქით მდებარეობს და უპირისპირდება ყოველივე ადამიანურსა და მგრძნობელობითს. ამდენად, ზემოური სამყარო მეტაფიზიკურია, აბსოლუტური ჭეშმარიტი გონის სამყარო, რომლის შემეცნებაც შეუძლებელია. რიშბი დარწმუნებულია, რომ ადამიანის სული იჰვჰ (ადონაის) არეულობიდანაა გამოტვიფრული, ე.ი. ადამიანის სული ღვთაებრიობის ორგანული ნაწილია. ცხადია, რიშბიმ გარკვეულად განიცადა ნეოპლატონისტური მოძღვრებებისა და სკოლებს გავლენა. ე.წ. ემანაცია – გამოსხივების (ებრ. ეააცალა) საკითხში. ამასთან რიშბის საერთო თვალთახედვა დიალექტიკურია: „ყოველი არსებული, – აცხადებს იგი, – შესდგება საპირისპირო ელემენტებისაგან და არცაა საკვირველი, ერთ საგანში ორი დაპირისპირებული მხარის არსებობისა.“ რიშბი იყო არა მხოლოდ შესანიშნავი ფილოსოფოსი და მოაზროვნე, არამედ პოეტიც საგალობლებისა და რელიგიური ოდების შემთხზველი, რაღა თქმა უნდა, იგი ღრმად იყო განსწავლული თალმუდსა და მიშნაშიც.



დასასრულს, დავძენდით, რომ რიშბისთვის ამოსავალია დებულება ღმერთის სახელთა სიმრავლის შესახებ. გარდა ძირითადი ოთხასოეული გამოსახულებისა, – ე.წ. ტეტრაგრამატონი, – რომელიც იჰვჰ-ს სიმბოლოში ქმნის ზმნური ფორმების ტრიადას: ჰაია (იყო) – ჰოვე (არის) – იჰიე (იქნება), ყოველი ზედსართავისეული სახელგანსაზღვრება ღ-ისა „თავისთავად შემეცნებით საგანს“ წარმოადგენს. ღვთის სახელთა სიმრავლე განცალკევებული საზრისებითა და მათი სათანადო ფუნქციითაა განპირობებული.

რიშბის კვალობაზე საქართველოს ებრაელთა მზარდი კაბალისტური ლიტერატურის გავლენის ქვეშ ექცევა, კერძოდ, განსაკუთრებული როლი უნდა ეთამაშათ ისეთ წიგნებს, როგორიცაა „ზოჰარი“, „სეფერ იეცირა“, „სეფერ რაზიელ“ და სხვა. ამდენად, გადაჭარბებული არ იქნება თუ განსახილველ მეოთხე პერიოდს ჩვენ მისტიკურ-კაბალისტურ პერიოდს ვუწოდებთ საქართველოს ებრაელთა სულიერი ფორმირების ისტორიაში. არ უნდა გვავიწყდებოდეს, რომ ხსენებულ ეპოქაში ადგილი აქვს შორსმსვლელ პოლიტიკურ-სოციალურ ძვრებს მსოფლიოს ებრაულ დიასპორაში: ეცემა ბიზანტიის იმპერია (1453), იწყება ებრაელთა გაძევება ესპანეთიდან (ებრ. სეფარად), რომლებიც მზარდი ოთომანური სახელმწიფოსაკენ მოილტვიან (1490-იანი წლები), იწყება ცენტრი ევროპის რიგ ქვეყნებში, კერძოდ, გერმანიაში (აშქენაზ), პოლონეთში შიდა ებრაული მიგრაციები, ძირითადად აღმოსავლეთის მიმართულებით: უკრაინა, ბელორუსია, ბალტიისპირეთი, მოგვიანებით რუსეთი.

ჩვენს რუსულენოვან ნაშრომში „ებრაელთა ისტორია კავკასიაში“ (ტ. 1) შევეცადეთ დაგვედასტურებინა სათანადო არგუმენტებით თეზისი, რომ საქართველოს ებრაელები არ განეკუთვნებიან, არც სეფარადულ-ესპანურს და არც აშქენაზურ-შუაევროპულ ებრაულ დიასპორულ განშტოებებს. პირიქით, ქართველი ებრაელები წარმოადგენენ დამოუკიდებელ, ავტოქტონურ იბერო-კავკასიურ ებრაულ ელემენტს, რომლის ისტორიული წარსული გაცილებით ღრმაა და ხანგრძლივი, ვინემ სეფარადებისა ან აშქენაზებისა. ჩვენს მიმდინარე შრომაში „რუსეთის იმპერიის ებრაელთა ისტორია“ (რუს. ენაზე) ჩვენ ვცდილობთ ვრცლად გავაანალიზოთ ის ისტორიული ქარგა, როცა ფაქტიურად ხდება პირველი სასულიერო, რელიგიური, თუ საქმიანი, ეკონომიური ურთიერთობების დამყარება საქართველოს ებრაელებსა და სეფარად-აშქენაზებს შორის. ასეთი კონტაქტები უცილობლად ითვალისწინებდნენ მნიშვნელოვან საკულტო-რიტუალურ ურთიერთ გავლენასაც, უმეტესად მეზობელ თურქეთში არსებული სეფარადული ებრაული თემებისადმი მიმართებაში: რელიგიური მწერლობა, დაბეჭდილი სამლოცველო ლიტერატურა, ლიტურგიკა, სახაზანო-კანტილაციური „ნიგუნები“ ანუ მელოდიები, გალობათა კრებულები და ალმანახები და ა.შ. ოდნავ მოგვიანებით მყარდება კავშირი ყირიმ-ბოსფორისა და უკრაინის ებრაულ ცენტრებთანაც.

(გაგრძელება იქნება)

# ისრაელის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში შაბთაი ცური:
## სულითა და გულით მივესალმები საქართველოში მიმდინარე აღმშენებლობის პროცესს

**– უკვე თითქმის ორი წელია თქვენ ხართ საქართველოში ისრაელის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი. როგორც ელჩი, რას მიიჩნევთ თქვენს მიღწევად ამ ორი წლის განმავლობაში რა იყო მნიშვნელოვანი ისრაელ-საქართველოს ურთიერთობაში, სახელმწიფოთა დაახლოების, კიდევ უფრო დამეგობრების მიზნით საელჩომ რა ღონისძიებები ჩაატარა?**

– ჩემთვის დიდი პატივია, ის რომ უკვე ორი წელია საქართველოში ისრაელის ელჩის თანამდებობაზე მიწევს მოღვაწეობა. პირველ რიგში, მიმაჩნია, რომ, ორმაგი პასუხისმგებლობა მაკისრია როგორც პირველ ქართველ ებრაელს, რომელიც თავის მეორე სამშობლოს – საქართველოს ელჩის რანგში დაუბრუნდა.

ამ ორ წელიწადში, ვფიქრობ, ბევრი მიღწევა გვაქვს სახელმწიფოებს შორის ურთიერთობის ყველა სფეროში – ეკონომიკის, ტურიზმის, კულტურის, განათლებისა და სხვა სფეროებში.

როგორც მოგეხსენებათ, ჩვენს ქვეყნებს შორის, ისევე, როგორც ჩვენს ხალხებს შორის ურთიერთობა ყოველთვის სამაგალითო იყო. მაგრამ ბოლო ორ წელიწადში ეს ურთიერთობა განსაკუთრებით დინამიური გახდა.

ისრაელი და საქართველო მუდმივი პარტნიორები არიან და აქტიურად უჭერენ მხარს ერთმანეთს საერთაშორისო ორგანიზაციებში გადაწყვეტილებების მიღების ყველა ეტაპზე.

როგორც მოგეხსენებათ, საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილებით, ისრაელის მოქალაქეებისათვის საქართველოში 90 დღის განმავლობაში მოქმედებს უვიზო მგზავრობის რეჟიმი. ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა იმისათვის, რომ საქართველოს მოქალაქეებსაც გავუადვილოთ ისრაელში გამგზავრება.



საქართველოში მიმდინარე რეფორმებსა და ძირეულ ცვლილებებს ისრაელში ისეთი ინტერესით ადევნებენ თვალს, რომ ბევრ ისრაელელს გაუჩნდა საქართველოში მოგზაურობის სურვილი. ბოლო ორ წელიწადში ერთი ათად იმატა ისრაელელი ტურისტების რიცხვმა საქართველოში. აღსანიშნავია, რომ საქართველოში ჩამოსულ ისრაელელ ტურისტებს შორის მხოლოდ ქართველი ებრაელები არ არიან.

საქართველოში მიმდინარე ცვლილებებმა დიდი ინტერესი გამოიწვია ისრაელის ბიზნესწრეებშიც. ბოლო ორ წელიწადში საგრძნობლად გაიზარდა ისრაელელი ინვესტორების რიცხვი საქართველოში.

იმედი მაქვს, რომ ეს ტენდენციები მომავალ წელს კიდევ უფრო განვითარდება და ყველაფერი ეს საქართველოს უფრო მეტ შემოსავლებსა და კეთილდღეობას მოუტანს.

კიდევ ერთი სიახლე გახლავთ ის, რომ საქართველოში უფრო ფართო მასშტაბით აღინიშნება ებრაული დღესასწაულები. საელჩოს მიერ მოწყობილი საღამოები და ღონისძიებები, რომლებიც ორი ერის მეგობრობის ზეიმად იქცევა ხოლმე, კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ ორ სახელმწიფოს შორის ძმობის ისტორია არათუ გრძელდება, არამედ ახალ, უფრო მაღალ საფეხურზე ადის.

**– თქვენ საქართველოში დაბადებული და აღზრდილი ადამიანი ხართ, 21-22 წლისა გაემგზავრეთ ისრაელში. ელჩად დაბრუნების შემდეგ საქართველოში, ქართველ ხალხში აღმოაჩინეთ, თუ არა რაიმე ისეთი თვისება, რომელსაც ადრე არ იცნობდით?**

– საქართველოში დავიბადე და გავიზარდე. ისრაელში 1972 წელს ამოვედი და მას შემდეგ საქართველოს პირველად 1988 წელს ვეწვიე. ამის შემდეგ საქართველოში ხშირად ჩამოვდიოდი და ამდენად, ასე თუ ისე, კარგად ვიცნობდი საქართველოში მიმდინარე მოვლენებს. მინდა გითხრათ, რომ ის, რაც ამ ბოლო ორ-სამ წელიწადში საქართველოში გაკეთდა, 40 წლის მანძილზე არ გაკეთებულა. როდესაც საქართველოში ელჩის რანგში ჩამოვედი, ქვეყანა უამრავი პრობლემის წინაშე იდგა : მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა, ენერგოდეფიციტი.

ახლა მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა. საქართველომ თავისი მიღწევებით მსოფლიოში გაითქვა სახელი. საქართველოს პრეზიდენტს მსოფლიოს ლიდერები უდიდეს პატივის სცემენ და აფასებენ, როგორც ახალგაზრდა, ენერგიულ პიროვნებასა და დემოკრატიული ფასეულობებისათვის დაუღალავ მებრძოლს.

რაც შეეხება, ქართველ ხალხს, ამ თვალსაზრისითაც არის გარკვეული სიახლეები. მახსოვს, როდესაც აქ ვცხოვრობდი, ახალგაზრდობის 90 % რუსულ ენას სწავლობდა, დღეს კი – ახალგაზრდების უმეტესი ნაწილი ინგლისურს ეუფლება. ეს იმის ნიშანია, რომ ქართველ ახალგაზრდებს გზა ხსნილი აქვთ მსოფლიოს წამყვან უმაღლეს სასწავლებლებში განათლების მისაღებად. მოხარული ვარ, რომ მსოფლიოს ცნობილი უნივერსიტეტების კურსდამთავრებულები შემდგომში კვლავ საქართველოს უბრუნდებიან და სამშობლოს აღმშენებლობის საქმეში მონაწილეობენ.

**– როგორ კომენტარს გაუკეთებდით დღევანდელ საქართველოში მიმდინარე პროცესებს – მის პოლიტიკურ, კულტურულ, ეკონომიკურ ცხოვრებას. რა ტენდენციას წამოსწევდით წინა პლანზე?**

– სულითა და გულით მივესალმები საქართველოში მიმდინარე აღმშენებლობის პროცესს და იმ წინსვლას, რომელიც ქვეყნის ხელისუფლებაში ახალგაზრდა თაობის მოსვლის შედეგია. ქვეყანაში მიმდინარე დემოკრატიული რეფორმები, თავდაცვისუნარიანობის განმტკიცება, ძირეული ცვლილებები საქართველოს არმიასა და პოლიციაში, კანონის უზენაესობის დამყარება – ყველაფერი ეს დემოკრატიული ქვეყნის ჩამოყალიბების უმთავრესი პრინციპებია.

ქართველ პოეტს უთქვამს, ,,ჯერ მწარე ჭამე, კვლავ ტკბილი, თუ ეძებ გემოვნებასაო. ისრაელელებმა კარგად ვიცით, რაოდენ რთულია ახალი სახელმწიფოს მშენებლობა, რამდენი სიძნელე ახლავს თან ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლას.

ასე, რომ ეს გზა, ია-ვარდით მოფენილი არასოდეს ყოფილა, მაგრამ მთავარი ის არის, რომ შედეგები ასეთ მოკლე ხანში – 2-3 წელიწადში უკვე თვალშისაცემია.

**– როგორ შეფასებას მისცემდით საქართველოს პრეზიდენტის ბ-ნი მიხეილ სააკაშვილის ახლახან დამთავრებულ ვიზიტს ისრაელში, რა იყო მნიშვნელო-ვანი?**

– საქართველოს პრეზიდენტი, ბატონი მიხეილ სააკაშვილი ისრაელს სახელმწიფო ვიზიტით ჯერ კიდევ 2004 წლის ზაფხულში ეწვია. წლევანდელი ვიზიტი განსაკუთრებული იყო იმით, რომ ისრაელის წამყვანმა უმაღლესმა სასწავლებელმა – ჰაიფის უნივერსიტეტმა საქართველოს პრეზიდენტს ფილოსოფიის საპატიო დოქტორის წოდება მიანიჭა. ეს ჯილდო მას საქართველოში დემოკრატიის დამკვიდრებაში შეტანილი წვლილის, სასამართლო სისტემაში და ადამიანის უფლებათა დაცვაში მიღწეული წარმატებების, სახელმწიფო მართვის, ეკონომიკისა და Gგანათლების სფეროში რეფორმის, ისრაელთან ურთიერთობის განვითარებაში შეტანილი წვლილის და ჰაიფას უნივერსიტეტთან მეგობრული დამოკიდებულებისათვის მიენიჭა.

საერთოდ, ახალი საქართველოს ახალგაზრდა ლიდერისადმი ინტერესი საოცრად დიდია. ისრაელში მას თანამედროვეობის ნელსონ მანდელას უწოდებენ და მის აზრებსა და პოზიციას დიდ ანგარიშს უწევენ.

ამიტომაც მიხეილ სააკაშვილის ვიზიტი ისრაელში საკმაოდ დატვირთული იყო. საქართველოს პრეზიდენტი შეხვდა ისრაელის პრემიერ-მინისტრს ეჰუდ ოლმერტს, ისრაელის პრეზიდენტს მოშე კაცავს, ისრაელის ვიცე-პრემიერს შიმონ პერესს, ქნესეტის თავმჯდომარეს დალია იცივს. ქნესეტში შედგა რაბი აბრაამ ხვოლესის საფოსტო მარკის პრეზენტაცია.

როგორც მოგეხსენებათ, ბიზნესმენთა ფედერაციის პრეზიდენტის, ბატონი ბადრი პატარკაციშვილის თაოსნობით, იერუსალიმში, შოთა რუსთაველის ქუჩაზე დაიდგა შოთა რუსთაველის ბარელიეფი, რომლის გახსნის საკმაოდ ამაღელვებელ ცერემონიალში პრეზიდენტმა სააკაშვილმა მიიღო მონაწილეობა.

ამ ბარელიეფის გახსნით მოხდა საქართველოდან ჩატანილი ბოლნისის ქვისა და იერუსალიმის ქვის შეერთება, რაც სიმბოლური ფაქტია და ჩვენი ხალხების კიდევ უფრო დაახლოებას აღნიშნავს.

უაღრესად თბილი და ამაღელვებელი იყო პრეზიდენტ სააკაშვილის შეხვედრა ქართველ ებრაელებთან, რომელიც აშდოდში გაიმართა. პრეზიდენტი სახლში ეწვია ორ ყოფილ თანამემამულეს, მათ შორის ერთ-ერთს – გოჩა ციციაშვილს საქართველოს მოქალაქეობა მიანიჭა.

საქართველოსადმი ერთგულების მაჩვენებელი იყო ის ფაქტიც, რომ ისრაელის მოქალაქე ქართველმა ებრაელებმა საქართველოს ჯარში სამსახურის სურვილი გამოხატეს.

ორიოდე სიტყვით, ვიზიტის მომზადების კულუარებსაც შევეხები და გეტყვით, რომ ვიზიტის პროგრამა ჰაიფას უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის, საქართველოს პრეზიდენტის პროტოკოლის სამსახურის, ისრაელისა და საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროების, ასევე ისრაელში საქართველოს საელჩოსა და საქართველოში ისრაელის საელჩოს ერთობლივი შრომის შედეგად მომზადდა.

მინდა აღვნიშნო, რომ ყველა ზემოთჩამოთვლილი უწყება საოცრად კოორდინირებულად მუშაობდა და ხელმძღვანელობდა დევიზით ,,- – ერთი ყველასათვის და ყველა ერთისათვის. შედეგიც შესანიშნავი აღმოჩნდა.

მიხეილ სააკაშვილის ვიზიტით კიდევ ერთი ნათელი ფურცელი ჩაიწერა ორი ქვეყნის მეგობრობის ისტორიაში და მოხარული ვარ, რომ სხვებთან ერთად მის მომზადებაში მონაწილეობა თქვენმა მონა-მორჩილმაც მიიღო.

**– ადრე ისრაელის საელჩო საქართველოში ატარებდა სხვადასხვა ხასიათის გამოფენა, კულტურულ ღონისძიებებს, რომლებიც საქართველოს მოსა-ხლეობას ხელს უწყობდა უკეთ გაეცნოთ ისრაელი. თუ იგეგმება მსგავსი ღონისძიების ჩატარება?**

– საქართველოში ისრაელის საელჩოს მიერ ორგანიზებული ღონისძიებები სწორედ ისრაელის კულტურისა და ხელოვნების პოპულარიზაციას ისახავს მიზნად. ვცდილობთ ასევე საქართველოში მცხოვრები ებრაული თემის წარმომადგენელთა შემოქმედებასაც აღმოვუჩინოთ მხარდაჭერა. ისრაელის დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ საღამოებზე ისრაელიდან ჩამოგვყავს მომღერლები, ისრაელის ესტრადის ვარსკვლავები. სწორედ დამოუკიდებლობის დღეს მიეძღვნა გამოფენა – ,,ქართველი მხატვრები ებრაულ თემაზე, რომელმაც დიდი მოწონება დაიმსახურა. მონაწილეობა მივიღეთ ამ თემაზე ფერწერული ნამუშევრების კატალოგის გამოცემაშიც.

საქართველოს ეროვნულ მუზეუმთან ერთად ისრაელის საელჩომ მონაწილეობა მიიღო თვითნასწავლი ქართველი ებრაელი მხატვრის – შალომ კობოშვილის ნამუშევრების გამოფენის მოწყობასა და მისი პირველი კატალოგის გამოცემაში.

ჩვენი საქმიანობა ყველა სფეროს მოიცავს – კულტურას, ხელოვნებას, განათლებას, სპორტს. რასაკვირველია, ასეთი ღონისძიებები მომავალშიც გაგრძელდება.

**– რამდენადაც ვიცით, ისრაელი საქართველოს ეხმარება აგრარული კადრების მომზადების საქმეში. თუ შეგიძლიათ გვითხრათ, თქვენს ძალისხმევას რა სარგებლობა მოაქვს საქართველოს სოფლის მეურნეობისათვის?**

– ისრაელის სახელმწიფო თბილისში საელჩოს გახსნის დღიდან ეხმარება საქართველოს სხვადასხვა სფეროში. საელჩოში არსებული მაშავის ცენტრის ეგიდით ყოველწლიურად ხდება ქართველი სპეციალისტების მივლინება ისრაელში კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით. მაშავის კურსები ყველა სფეროს მოიცავს – მედიცინას, მეცნიერებას და სოფლის მეურნეობასაც.

ახლა ათასწლეულის გამოწვევის ფონდთან ერთად მაშავი აპირებს მონაწილეობა მიიღოს საქართველოში რამდენიმე მილიონი დოლარის ღირებულების პროექტის განხორციელებაში.

მინდა ასევე გაუწყოთ, რომ ელჩის თანამდებობაზე 2 წლის განმავლობაში მოღვაწეობის პერიოდში მაშავის ცენტრის ფუნქციები გაფართოვდა და მან შეიძინა ეკონომიკური დეპარტამენტისა და ინვესტიციების წახალისების ფუნქციები. ამ განყოფილებას ახლა უკვე ხშირად მიმართავენ ისრაელელი ინვესტორები მათთვის საჭირო ინფორმაციისა თუ დახმარების მისაღებად.

მომავალ წელს ისრაელის საელჩო საქართველოში საზეიმოდ აღნიშნავს მაშავის ჩამოყალიბების 50 წლისთავს.

მაშავის კურსადამთავრებულებმა ჩამოაყალიბეს ორგანიზაცია ,,შალომ კლუბი‘‘, რომელიც 500-ამდე წევრს ითვლის.

**– თქვენ კარგად იცნობთ საქართველოს ებრაულ თემს, მის ლიდერებს. მეგობრობთ მათთან. მეგობრები კი ზოგჯერ რჩევასაც იძლევიან. რა რჩევას მისცემდით საქართველოს ებრაული თემის ლიდერებს?**

– ძალიან ახლოს ვიცნობ არა მარტო საქართველოს ებრაულ თემს, არამედ მსოფლიოს ქართველ ებრაელობასაც, რამდენადაც სხვებთან ერთად ქართველ ებრაელთა მსოფლიო კონგრესის ერთ-ერთი ლიდერი მეც გახლავართ.

სიამაყით მინდა აღვნიშნო, რომ საქართველოს ებრაელობამ სამაგალითოდ შეინახა სარწმუნოება და ებრაული ტრადიციები. ისინი დიდ ყურადღებას უთმობენ სალოცავებისა და ებრაული სასაფლაოების მოვლა-პატრონობას, საოცარ სოლიდარობას იჩენენ თემის ამა თუ იმ წარმომადგენლის მიმართ, ეხმარებიან ერთმანეთს გასაჭირში.

საქართველოში ისრაელის ელჩის რანგში ჩამოსვლის დღიდან ახლო ურთიერთობა მაქვს ებრაული თემის წარმომადგენლებთან არა მარტო თბილისში, რეგიონებშიც.

ვამაყობ იმითაც, რომ თემის ლიდერებთან თანამშრომლობით ერთობლივად ხდება ებრაული დღესასწაულების აღნიშვნა საქართველოში.

მინდა მადლობა მოვახსენო საქართველოს ბიზნესმენთა ფედერაციის პრეზიდენტს, ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტს, ბატონ ბადრი პატარკაციშვილს, რომელიც არაერთი საშვილიშვილო საქმის სულისჩამდგმელია და მუდმივად უდგას გვერდით ისრაელის საელჩოს ყველა ღონისძიების ჩატარებაში.

საგანგებოდ მინდა აღვნიშნო ნაყოფიერი თანამშრომლობა ქართველ ებრაელთა მსოფლიო კონგრესთან, სოხნუთთან, ჯოინთთან, ხაბადთან, ორ ავნერთან, მორწმუნე ქართველ ებრაელთა საზოგადოებასთან, ქალთა ასოციაციასთან, საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, რომლებიც მოღვაწეობენ განათლების, კულტურის, ხელოვნების, სპორტისა და სხვა სფეროებში.

განსაკუთრებული მადლობა მინდა მოვახსენო თქვენს გაზეთს – ,,მენორას‘‘, რომელიც მუდმივად ზედმიწევნით აშუქებს ისრაელის საელჩოს საქმიანობას და ამის შესახებ ინფორმაციას აწვდის საქართველოში და მსოფლიოში მცხოვრებ ქართველ ებრაელებს.

ნება მომეცით, მადლობა მოვახსენო ყველა ამ ორგანიზაციას, ასევე რაბებსა და ხახმებს, იმ ერთიანი ძალისხმევისათვის, რომელსაც ნამდვილად შეეფერება გამოთქმა: ერთი ყველასათვის და ყველა ერთისათვის.

სწორედ ამ სულისკვეთებით აღვნიშნავთ – როშ ჰაშანას, იომ ქიფურს, ფესახს, ფურიმს და სხვა დღესასწაულებს, როდესაც ასობით მლოცველი იკრიბება სალოცავში.

**– საქართველოს ებრაული თემის ცხოვრების, ებრაული თემის საქმიანობის რომელმა მხარემ მიიქცია თქვენი ყურადღება?**

– მეამაყება, რომ საქართველოს ებრაელობის შესანიშნავმა წარმომადგენლებმა ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროში გამოიჩინეს თავი, მათ შორის დრამატურგიაში, მწერლობაში, მეცნიერებაში, პოლიტიკაში, ბიზნესში, საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მედიცინაში, კულტურაში, განათლებაში, სპორტში და სხვ.

ისინი ასახელებენ როგორც საქართველოს, ისე ისრაელს. მათ საქმიანობას სიკეთე მოაქვს ორივე ქვეყნისათვის.

ჩაიწერა **ნინო ლომიამ**

# სასწავლო წლის დასაწყისი

**თბილისში რამდენიმე ებრაული სკოლა, ან ენის შემსწავლელი წრეა. ყოველ სასწავლო დაწესებულებაში სასწავლო წელი სექტემბერში ჩვეულებისამებრ განახლდა. „მენორა“ დაინტერესდა თუ როგორია სწავლის პროცესი, რა მდგომარეობაა ამ სასწავლებლებში, წრეებში.**



## „შალომ, სეზამ!“

კულტურულ საგანმანათლებლო ფონდთან არსებულმა (დირექტორი ელენე ბერკოვიჩი) საბავშვო ჯგუფმა „შალომ, სეზამ“ სწავლა 4 სექტემბერს დაიწყო. ჯგუფში 14 ბავშვი სწავლობს. წელს კი „შალომ, სეზამში“ 5 ახალი ბავშვია. ბავშვები სწავლობენ: ებრაულ ენას, რომლის პედაგოგია ელენა შეხტერი, ინგლისურს – ქეთინო ხანიაშვილი ასწავლის. ებრაულ ისტორიას და ტრადიციებს – მარიეტა ისრაელიანი.

ბავშვები ყველა ებრაულ დღესასწაულს, თარიღის სათანადოდ აღნიშნავენ. მღერიან და ცეკვავენ ებრაულად. ლექსებს რუსულ, ებრაულ და ინგლისურ ენებზე ასრულებენ, დღესასწაულებს თვალსაჩინოებებით ეცნობიან, ამზადებენ სტენდებს, მისალოც ბარათებს. ყოველწლიურად ხდება სტენდის განახლება, რომელსაც თავად ბავშვები ამზადებენ.

ჯგუფში სტუმრად ყოფნისას აღსაზრდელები სუქოთს აღნიშნავდნენ და სიმღერებს მღეროდნენ, მათ თოჯინებისთვის სუქაც გაეკეთებინათ. საბავშვო ჯგუფის ბავშვებთან ერთად ღონისძიებაში მონაწილეობას „შალომ, სეზამის“ ყოფილი აღსაზრდელებიც იღებენ.

როგორც ჯგუფის ხელმძღვანელმა მარიეტა ისრაელიანმა აღნიშნა, გული წყდება, რომ არ აქვს ებრაული ტრადიციების შესაბამისი ქართული ლიტერატურა, ამიტომ ზეიმზე ნაკლებად ისმის ქართული ლექსი, თუ მუსიკა. რამდენიმე ლექსი ქართულად სპეციალურად „შალომ, სეზამის“ ბავშვებისთვის დაწერეს და ებრაულიდან თარგმნეს: მწერალმა და მთარგმნელმა ჯემალ აჯიაშვილმა, ებრაული სახლის პროგრამების კოორდინატორმა ზაირა დავარაშვილმა და ულფანის დირექტორმა, ებრაული ენის მასწავლებელმა ლარისა ნამთალაშვილმა.

ბავშვებს წელს ახალი სიხარული, განახლებული სათამაშო მოედანი აქვთ, ისინი სიამოვნებით თამაშობენ და ერთობიან ებრაული სახლის ახალ გალამაზებულ ეზოში.

## „სოხნუთთან“ არსებული ულფანი

სწავლა ულფანმა სექტემბრის დასასრულს განაახლა (დირექტორი ლარისა ნამთალაშვილი).

ულფანში არის რამდენიმე სიახლე: შეიქმნა ორი ახალი ჯგუფი. ულფანში ძირითადი აქცენტი სალაპარაკო ებრაულის შესწავლაზე კეთდება, რათა ისრაელში რეპატრირებულ ადამიანს ახალ გარემოსთან, ებრაულ ენასთან შეგუება გაუიოლდეთ და ადაპტაცია ადვილად გაიარონ.

ამ ჯგუფში სწავლის პერიოდში გამოვლინდება საუკეთესო მოსწავლე, რომელიც ფინანსურ წახალისებას მიიღებს. საუკეთესოს ჯგუფი თავად გამოავლენს.

ულფანში არსებობს საბავშვო ჯგუფები. საბავშვო ჯგუფში მისული ბავშვის მშობელს საშუალება აქვს პარალელურად თვითონაც შეისწავლოს ებრაული ენა უფროს ჯგუფში.

იგეგმება საინტერესო ლექციები, მოწვეული სტუმრები, მოსწავლეებისთვის წაიკითხავენ მათთვის საინტერესო ლექციებს. სოხნუთის წარმომადგენელი საქართველოსა და სომხეთში გრიგორი ბროდსკი თავადაც ჩაატარებს ლექციებს. ულფანის პროგრამა „ებრაული თვითშეგნება“, რომელიც დღემდე ატარებდა ლექციებს, სემინარებს და კვლავაც გააგრძელებს ლექციებისა და სემინარების ჩატარებას. სემინარები პოლონეთშიც ჩატარდება, რათა ახალგაზრდებმა თვითონვე ნახონ თუ რა გზა გაიარა ებრაელმა ერმა.

ულფანში ებრაული ენის პედაგოგებს ზაფხულში ჩაუტარდათ ტესტირება, რომელმაც მათი დონე გამოავლინა. ტესტირებას არ ჰქონია ერთჯერადი ხასიათი. სპეციალურად პედაგოგებისთვის არის დისტანციური სწავლება. ყოველ კვირას ისრაელის განათლების სამინისტროდან მოდის მასალები, რომელიც ყველა პედაგოგმა უნდა გააკეთოს, ეს მათი სწავლის დონის ამაღლებას შეუწყობს ხელს.

ულფანს ფილიალები აქვს გორში, ბათუმში, ქუთაისში. განახლებული პროგრამით სწავლობენ რეგიონებშიც. ულფანის პედაგოგები არიან: ულფანის დირექტორი ლარისა ნამთალაშვილი, დიანა აგორონოვა, ანია გილელსი, ელენე შეხტერი. გორში – თათა მანაშეროვა, ქუთაისში – ხათუნა რიჟინაშვილი, ბათუმში – ოლეგ ტეიფი.

იმ ადამიანებისთვის, რომლებსაც სურს შეისწავლოს ებრაული ენა, მაგრამ არ აქვს დრო, სამსახურის გამო, მათთვის გაიხსნა ახალი ჯგუფი, სადაც მეცადინეობა კვირაში ერთხელ ჩატარდება.

## „თიფერეთ ცვი“

რელიგიურმა სკოლამ „თიფერეთ ცვიმ“ სწავლა 4 სექტემბერს დაიწყო. „თიფერეთ ცვის“ ახალი სასწავლო პროგრამა აქვს. სწავლება სკოლაში ქართულ ენაზე მიმდინარეობს. რადგანაც მათ მისაღები გამოცდების ჩაბარება გაუადვილდეთ. სკოლაში ამ წლიდან ძირითადი აქცენტი ქართულ ენაზე კეთდება, ასევე გაძლიერებულად ისწავლება ებრაული ენა, ებრაული ტრადიციები და ინგლისური. წელს სწავლის



გასაუმჯობესებლად მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა, შეიცვალა პედაგოგები და სწავლება განათლების სამინისტროს პროგრამით მიმდინარეობს.

## „ორ ავნერის“ სკოლა

ტრადიციული სკოლა „ორ ავნერი“ ბუხარის ებრაული კონგრესის პრეზიდენტის ლევ ლევაევის შემოწირულობით ფუნქციონირებს.

„ორ ავნერის“ სკოლაში განათლების სისტემის პროგრამის მიხედვით მიმდინარეობს სწავლება. როგორც სკოლის დირექტორმა ქ-ნმა მარინა ბასილაშვილმა განაცხადა, ყველა სკოლას აქვს უფლება პროგრამა 25%-ით შეცვალოს. ორ ავნერის სკოლაში კი ამის ხარჯზე ებრაული ენისა და ტრადიციის სწავლება გაძლიერებული.

სკოლაში სწავლა დილის ლოცვით იწყება. ბავშვებთან ერთად ლოცულობს ტრადიციების მასწავლებელი ელიაო და ესთერ ბაკურაძეები. სწავლა 3 საათამდე გრძელდება. ბავშვების ოთხი სამარშრუტო ტაქსი ემსახურებათ. სკოლაში ორჯერადი ქაშერი კვებაა. სუქოთის დღესასწაულზე ბავშვები სუქაში სადილობდნენ. სკოლას ოცდაოთხსაათიანი დაცვა ჰყავს.

„ორ ავნერის“ სკოლაში წელს მასწავლებელთა განახლება მოხდა, დარჩნენ ზოგიერთი ძველი მასწავლებელი და მოწვეულ იქნენ სპეციალისტები. ქართულ ენასა და ლიტერატურის მასწავლებელია ნათელა იმედაძე, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, მათემატიკა – თემურ ჯალაღონია – ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი, ხატვა-ხაზვას ასწავლის ემილ ბურჯანაძე – საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, თბილისის საპატიო მოქალაქე. ებრაულ ენას – ია პაპისმედოვა, ებრაულ ტრადიციას – ელიაო და ესთერ ბაკურაძეები.

სკოლაში გაძლიერებულად ისწავლება ებრაული და ინგლისური. გაკვეთილებს ესწრებიან „ორ-ავნერის“ ფინანსური დირექტორი რაბინი მეირ კოზლოვსკი და მისი მეუღლე ციპი კოზლოვსკაია, ასევე სკოლის დირექტორი მარინა ბასილაშვილი. სკოლაში 55 მოსწავლე სწავლობს, თითოეულ კლასში საშუალოდ 7 მოსწავლეა. წელს კი, პირველად ორი პირველკლასელთა ჯგუფი გაიხსნა. ბავშვებს აქვთ კომპიუტერების ოთახი. ინფორმატიკას ისინი მე-4 კლასიდან სწავლობენ.

მე-5 კლასიდან ზევით მოსწავლეებს ყოველ წელიწადს 3-4 გამოცდა ექნებათ კლასიდან კლასში გადასასვლელად. ეს გამოცდები მაკონტროლებელი იქნება არა მხოლოდ მოსწავლეთათვის – მასწავლებელთათვისაც.

2007 წ-ის 7-14 იანვარს ისრაელში ჩატარდება საგეგმო კონფერენცია სკოლის დირექტორთათვის. კონფერენციაში ერთ-ერთი საკითხი იქნება უწყვეტი სწავლის გაგრძელება ისრაელში, კონფერენციაში მონაწილეობას მიიღებს მარინა ბასილაშვილი.

ბ-ნი მეირ კოზლოვსკი ხელს უწყობს, რომ ბავშვებმა კარგად შეითვისონ ებრაული ენა და ტრადიციები და ამავდროულად არ დაკარგონ ქართული ტრადიციები. სკოლის მოსწავლეები ძირითადად „ორ ავნერის“ საბავშვო ბაღიდან მოდიან. ანუ ისინი უკვე მომზადებულები და მობილიზებულნი არიან.

ყველა საგანს, რაც სკოლაში ისწავლება, ებრაული შეფერილობა აქვს. ანუ ინგლისური ენის შესწავლა ებრაულ თემატიკაზე დაყრდნობით ხდება.

**ნინო ლომია**

# „ხმა ლხენისა და ხმა მოლხენისა“



16 ნოემბერს თბილისის ებრაული სათემო სახლის საკონცერტო დარბაზში მრავალრიცხოვან სტუმარს მოწოდებით „კოლ სასონ ვეკოლ სიმხა“ – „ხმა ლხენისა და ხმა მოლხენისა“ და ამავე სიტყვებზე შექმნილი ლამაზი ებრაული სიმღერით ეგებებოდნენ, ებრაული სახლის პროგრამა კლუბ „26 საუკუნის“ მორიგ შეხვედრაზე.

სწორედ ასე ეწოდა ამ საღამოს, რომლის პროგრამა აგებული იყო ებრაულ თემში შემონახულ და განუხრელად დაცულ, უზენაესისაგან ნაკარნახევ, ზოგიერთ ძირითად მცნებაზე, რომელთაც განაპირობეს დიასპორაში ებრაული თვითმყოფადობის შენარჩუნება.

კლუბის დიასახლისმა ზ. დავარაშვილმა ღონისძიება ისრაელელი თანამედროვე პოეტის ამირ გილბოას ლექსის „სისხამ დილის სიმღერა“ ებრაულიდან მისეული თარგმნით გახსნა.

613 მცნებიდან ერთ-ერთი გახლავთ „წამოუდექი ჭაღარას“. ამ ნომინაციაში წარდგენილი იყო ხანდაზმული ქალბატონი ზინაიდა კრიხელი. იგი 85 წელს გადაცილებულია, მას „ხესედ ელიაჰუს“ პროგრამა „დღის ცენტრი“ მფარველობს და აქტიური მონაწილეობით გამოირჩევა. მან გულთბილად დალოცა შეკრებილნი და „დღის ცენტრზე“ ისაუბრა.

საღამოს ყველაზე ხანდაზმული მონაწილე ყველაზე ნორჩმა მონაწილემ შეცვალა – სოფო მანაშეროვი სკოლა „ათინათის“ პირველი კლასის მოსწავლეა, მან ებრაული სიმღერების პოპური შეასრულა და დარბაზის აღფრთოვანება გამოიწვია.

იერუსალიმის „ჯოინთის“ თანამშრომელმა ქ-ნმა დალია ლევ სადემ ებრაულ სათემო სახლს მეტად სიმბოლური სუვენირი გადასცა, რომელზეც ამოქარგულია სიტყვები „თუ დაგივიწყო, იერუშალაიმ“. იგი მიესალმა შეკრებილ საზოგადოებას და მრავალი სამხიარულო შეხვედრა უსურვა.

ზაირა დავარაშვილმა ქორწინების 7 კურთხევიდან ამოღებული სიტყვები წაიკითხა, ვინაიდან დარბაზში პროგრამით მიწვეული სხვადასხვა ასაკის წყვილები იმყოფებოდნენ, რომელთაც ეს ფიცი სხვადასხვა დროს დადეს.

„ოქროს ქორწილის“ ნომინაციაში წარდგენილნი იყვნენ ანა და ილია დავარაშვილები, მათ 53 წლის წინათ იქორწინეს. ამავე ნომინაციაში იყვნენ მოწვეულნი ეთერ და მიხეილ კოკიელოვები, რომელთა ქორწინებაც 50 წელზე მეტს ითვლის.

შემდეგ ნომინაციაში – „ვერცხლის ქორწილი“ – წარადგინეს ის წყვილი, რომელიც 25 წლის წინათ შეუღლდა. ესენი არიან ებრაული თემის ცხოვრებაში აქტიურად ჩაბმული ლალი დავითაშვილი და მალხაზ ნანიკაშვილი.

დარბაზში იმყოფებოდა წყვილი, რომელთაც ჯერ კიდევ „თაფლობის თვე“ აქვთ. ესენი არიან თამუნა მამისთვალოვი და მიშიკო კაკიტელაშვილი.

ვაჟიანობა ნინო მოშიაშვილსა და ელი ენოხს მიულოცეს, ხოლო ქალიანობა ინგა მიროტაძესა და მიხაელ შაის (მერაბ შიმშილაშვილს). კიდევ ერთი დავითი და თამარი შეემატა ებრაულ თემს.

კლუბის ტრადიციული მილოცვები ერგოთ:

ქართველ და ქართველ ებრაელ ქალთა ასოციაციას დაარსებიდან 4 წლისთავის გამო, დავით კეზერაშვილს საქართველოს თავდაცვის მინისტრად დანიშვნისათვის. ქართულ-ებრაული ცეკვის თეატრს „იონათ ჰაშალომს“ ისრაელში კამერული ცეკვის ფესტივალში წარმატებული მონაწილეობისა და იერუსალიმში სოლო კონცერტის გამართვის გამო.

ისრაელში მოღვაწე ქ-ნ ფანი ჯინჯიხაშვილს შვილთაშვილის – მაიას დაბადება მიულოცეს.

საქართველოს მთავარ რაბინს, „კლუბ 26 საუკუნის“ საორგანიზაციო კომიტეტის წევრს არიელ ლევინს ქალიშვილის – სარას გაბედნიერება მიულოცეს.

ქ-ნ სიფორა ბინიაშვილ-ხუხაშვილს დაბადებიდან 85 წლის შესრულება მიულოცეს და ჯანმრთელი ცხოვრება უსურვეს.

როდესაც კლუბის დიასახლისმა ისრაელის ელჩი შაბთაი ცური 8-იანის ფორმის სანთლის დასანთებად მიიწვია, მხოლო მაშინ გაიგო დარბაზმა, რომ კლუბის დაბადების 8 წელიც აღინიშნებოდა. ელჩმა სიამოვნებით დაანთო სანთელი, ისაუბრა კლუბის შეხვედრების მნიშვნელობაზე და აღნიშნა, რომ დეკემბერში სხვადასხვა ღირსშესანიშნავი ღონისძიებებია დაგეგმილი.

კლუბის საორგანიზაციო კომიტეტის წევრმა, მწერალმა გურამ ბათიაშვილმა კლუბის ბიოგრაფიაზე ისაუბრა.

საღამოზე იმყოფებოდნენ მოზარდები, რომლებსაც ახლახანს ბარმიცვა და ბათმიცვა ჰქონდათ. ესენი იყვნენ: მალხაზ დავარაშვილი, იაკობ ჯანაშვილი და ილონა კრიხელი (გორიდან), რომელმაც ცეკვა „აჭარულით“ მოხიბლა დამსწრე საზოგადოებრიობა.




მერაბ შიმშილაშვილმა და მორის კრიხელმა დალოცეს ახალგაზრდები, მალხაზ დავარაშვილმა კი ყველას სახელით გადაიხადა მადლობა მოწვევისათვის.

შეხვედრის ბოლო ნომინაცია გახლდათ „ოჯახი“, სადაც საზოგადოებას კუპერმანების ოჯახი წარუდგინეს. ბუსია (ბრახა) კუპერმანი მუსიკათმცოდნეა და ებრაულ სკოლა „თიფერეთ ცვიში“ ახალგაზრდა თაობის აღზრდას ემსახურება. ანატოლი კრუპნიკი ინჟინერ-ენერგეტიკოსია და საქველმოქმედო ორგანიზაცია „რახამიმში“ მუშაობს.

პოეტი ია ხანუქაშვილი საკუთარი ლექსით „დიდება შენდა იერუშალაიმ“ კიდევ ერთხელ მოეფერა უკვდავ ქალაქს.

ღონისძიების 18 მონაწილეს, რომლებსაც მკერდზე მიბნეული ჰქონდათ ციფრები, ყვავილები და ტკბილეული გადაეცათ. ციფრების საერთო რაოდენობამ 18 მიაღწია და ღონისძიების ბოლოს აღიმართა პლაკატი, რომელზეც ციფრი 18, ებრაულად და ქართულად სიტყვა „სიცოცხლე“ ეწერა, „ამ ისრაელ ხაი“ – ებრაელი ხალხი ცოცხლობს.

საღამო ჩვეულებრივზე მეტად იყო დატვირთული სიმღერებითა და მუსიკაულრი ნომრებით: სოფო მანაშეროვი, ჟანეტა შამილაძე, მორის კრიხელი, მარიკა მირველაშვილი, მევიოლინე ედვარდ პოლტახიენტი, კონცერტმეისტერი რამაზ წიწუაშვილი, – აი ვინ იზრუნა იმისათვის, რომ ეს შეხვედრა სამიხარულო და საზეიმო ყოფილიყო.

ღონისძიებამ გაამართლა თავისი სახელწოდება: „ხმა ლხენისა და ხმა მოლხენისა“, ვინადიან ებრაული სათემო სახლის დარბაზიდან იმ საღამოს მხოლოდ ხმა ლხენისა და ხმა მოლხენისა ისმოდა.

**ნატო პაქსაშვილი**

# „არაბული ნაციზმი“

## ნაციზმთან ისლამური პარტნიორობის იდეოლოგიური წანამძღვრები

„არაბები გერმანიის ბუნებრივი მოკავშირეები არიან, რადგან მათ იგივე მტრები ჰყავთ, კერძოდ – ინგლისელები, ებრაელები და კომუნისტები, ამიტომ უნდათ მთელი გულით გერმანიასთან თანამშრომლობა და მზად არიან, მონაწილეობა მიიღონ ომში, თანაც არამარტო პასიური სახით, საბოტაჟის აქტების მოწყობითა და რევოლუციისაკენ წაქეზებით, არამედ აქტიურად – არაბული ლეგიონის ფორმირებით. არაბებს შეუძლიათ ბევრად უფრო სასარგებლონი იყვნენ გერმანიისათვის, ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანს – როგორც წმინდად გეოგრაფიული მიზეზებით, ისე იმ ტანჯვითაც, რომელიც მათ ინგლისელებმა და ებრაელებმა მიაყენეს. უფრო მეტიც, მათი მჭიდრო კავშირი დანარჩენ მუსლიმ ხალხებთან სასარგებლო იქნება საერთო საქმისათვის“.

1941 წლის 5 ნოემბერს ხაჯი-ამინალ-ჰუსეინი საკუთარი პერსონით ჩავიდა ბერლინში. მეორე დღესვე მას შეხვედრა მოუწყეს დიპლომატების ჯგუფთან, რომელსაც გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს შტატს-მდივანი ერნსტ ფონ ვაიცზეკერი მეთაურობდა. ორი მომდევნო კვირის მანძილზე განიხილებოდა მუფტისათვის საჭირო დეკლარაციის პროექტის შესწორებები არაბულ საკითხებზე. 21 ნოემბრისათვის მისი ტექსტი მთლიანად შეთანხმებული იყო. ტექსტი შეიცავდა პუნქტს „პალესტინაში ებრაული კერის განადგურების“ შესახებ. გერმანელები, რასაკვირველია, წინააღმდეგი არ წასულან. დეკლარაციის ჩასწორებული ტექსტი გაიგზავნა რომში, სადაც ის იმწამსვე მოიწონა იტალიის მთავრობამ.

იმავე დღეს, 1941 წლის 21 ნოემბერს, ბერლინში ჩავიდა რაშიდ ალი ალ-გაილანი, რომელიც თურქეთში შეყოვნდა თავის მხლებელ არაბ ნაცისტებთან ერთად. ალ-გაილანი შესამჩნევი პოლიტიკური მოღვაწე, ერაყის ყოფილი პრემიერ-მინისტრი იყო, ამიტომ მონაწილეობა უნდა მიეღო გერმანია-იტალიის დეკლარაციის პრექტზე მოლაპარაკებების ბოლო ეტაპში. ამ მიზეზით, ერთი კვირით გადაიდო მუფტისა და ჰიტლერის უკვე ჩაფიქრებული შეხვედრა. ჩანაწერები ამის შესახებ შემონახულია გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივებში და იმდენად საინტერესოა, რომ სასარგებლო იქნებოდა მათი სრულად აღდგენა იმისათვის, რათა უკეთ გავიგოთ დიდი მუფტისა და არაბი ნაცისტების მომავალი ურთიერთობები მესამე რეიხის ბელადებთან. და აი, „დოკუმენტები გერმანიის შიდა პოლიტიკის შესახებ, 1918-1945 წ.წ.“, სერია D, ტომი XIII, ლონდონი, 1964, (ორიგინალის ზოგიერთი თავისებურების შენარჩუნებით, სასტრიქონო და დიდი ასოების გამოყენებით):

გერმანიის კანცლერი ადოლფ ჰიტლერი
და დიდი მუფტი ხაჯი-ამინ ალ -ჰუსეინი:
სიონიზმი და არაბული საკითხი.

ფიურერსა და იერუსალიმის დიდი მუფტის საუბრის ჩანაწერი, რომელიც შედგა 1941 წლის 28 ნოემბერს ბერლინში, საგარეო საქმეთა რეიხსმინისტრისა და მინისტრ გრობის თანდასწრებით.

დიდმა მუფტიმ დაიწყო ფიურერისადმი მადლობით იმ დიდი პატივისათვის, რომელიც მას მიაგეს ამ შეხვედრის თვით ფაქტით. მას სურვილი აქვს, ისარგებლოს ამ შემთხვევით, რათა უდიდესი გერმანული რეიხის ფიურერს, რომელსაც მთელი არაბული სამყარო აღმერთებს, გადასცეს მადლობა იმ სიმპათიებისათვის, ფიურერი ყოველთვის რომ უკეთებს დემონსტრირებას არაბებისადმი და განსაკუთრებით პალესტინური საქმისადმი დამოკიდებულებით, რომელიც მკაფიო გამოხატულებას ჰპოვებს თავის საჯარო გამოსვლებში. არაბული ქვეყნები მტკიცედ არიან დარწმუნებულნი, რომ ამ ომში გერმანია გაიმარჯვებს, რის შედეგადაც არაბული საქმეც მოგებული დარჩება.

არაბები გერმანიის ბუნებრივი მოკავშირეები არიან, რადგან მათ იგივე მტრები ჰყავთ, კერძოდ, ინგლისელები, ებრაელები და კომუნისტები. ამიტომ უნდათ მთელი გულით გერმანიასთან თანამშრომლობა და მზად არიან მონაწილეობა მიიღონ ომში, თანაც არამარტო პასიური სახით, საბოტაჟის აქტების მოწყობითა და რევოლუციისაკენ წაქეზებით, არამედ აქტიურად – არაბული ლეგიონის ფორმირებით. არაბებს შეუძლიათ ბევრად უფრო სასარგებლონი იყვნენ გერმანიისათვის, ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანს, როგორც წმინდად გეოგრაფიული მიზეზებით, ისე იმ ტანჯვითაც, რომელიც მათ ინგლისელებმა და ებრაელებმა მიაყენეს. უფრო მეტიც, მათი მჭიდრო კავშირი დანარჩენ მუსლიმ ხალხებთან სასარგებლო იქნება საერთო საქმისათვის.

არაბული ლეგიონის შექმნა რთულ ამოცანად არ ისახება. საკმარისია, მუფტიმ მოწოდებით მიმართოს არაბულ ქვეყნებსა და გერმანიაში მყოფ არაბი, ალჟირელი, ტუნისელი და მაროკოელი ეროვნების სამხედრო ტყვეებს, რომ მოხალისეთა დიდი რაოდენობა ბრძოლის ჟინით აინთება. არაბული სამყარო მტკიცედაა დარწმუნებული გერმანული იარაღის გამარჯვებაში და მხოლოდ იმიტომ კი არა, რომ რეიხს ჰყავს დიდი არმია, მამაცი ჯარისკაცები და სარდლობითი გენია, არამედ კიდევ იმიტომ, რომ უფალი არასოდეს გაამარჯვებინებს უსამართლოს.

ამ ბრძოლაში არაბები მიისწრაფვიან დამოუკიდებლობისა და პალესტინის, სირიისა და ერაყის ერთიანობისაკენ. ისინი სრულიად ენდობიან ფიურერს და უკოცნიან იმ ხელებს, რომელმაც ბალზამი უნდა სცხოს გერმანიის მტრების მიერ არაბებისადმი მიყენებულ ჭრილობებს.

შემდეგ მუფტიმ გაიხსენა გერმანიის მიერ გაკეთებული განცხადება, რომელშიც მითითებული იყო ის, რომ გერმანია არ ემუქრება არავითარ არაბულ ტერიტორიებს, გაგებით ეკიდება არაბულ მისწრაფებებს დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისაკენ და, ამავე დროს, მხარს დაუჭერს ებრაული ეროვნული კერის განადგურებაში.

ასეთი საჯარო დეკლარაციები ძალიან სასარგებლოა იმ პროპაგანდისტული ეფექტის გამო, რომელიც ამ მომენტში არაბულ ქვეყნებზე ვრცელდება. ისინი არაბებს გამოაღვიძებენ თავიანთი დროებითი ლოტარგიული ძილისაგან და მხნეობას ჩაავგონებენ. ეს, ასევე, შეუმსუბუქებს მუფტის სამუშაოს არაბთა იატაკქვეშა ორგანიზაციის საქმეებში, როცა ისინი დარტყმის მიყენებას შესძლებენ. ამავე დროს, მუფტი არწმუნებს, რომ არაბები მოთმინებითა და მკაცრი დისციპლინით დაელოდებიან ხელსაყრელ მომენტს და მხოლოდ ბერლინის ბრძანებით ამოქმედდებიან.

ერაყის მოვლენების შესახებ მუფტიმ მთელი სიცხადით შენიშნა, რომ არაბები ამ ქვეყანაში მოქმედებდნენ მხოლოდ იმ შეურაცხყოფის რეაქციით, რომელიც მათ ღირსებას მიაყენეს ინგლისელებმა და ეს სულაც არ მომხდარა გერმანიის წაქეზებით ინგლისის წინააღმდეგ.

მისი აზრით, თურქები უნდა მიესალმონ მიმდებარე ტერიტორიებზე არაბული ხელისუფლების დამყარებას, რამეთუ ისინი სუსტ არაბულ ხელისუფლებას ამჯობინებენ მეზობელ ქვეყნებში ძლიერ ევროპულ თანაყოფნას; გარდა ამისა, რადგან 7 მილიონიანი ერი არიან, სულაც არ უნდა შეუშინდნენ 1 მილიონ 700 ათას არაბს, რომლებიც სირიაში, ტრანსიორდანიაში, ერაყსა და პალესტინაში ცხოვრობენ.

სავარაუდოა, რომ საფრანგეთი გამაერთიანებელი გეგმის წინააღმდეგი არ იქნება, რადგან მან ჯერ კიდევ 1936 წელს აღიარა სირიის დამოუკიდებლობა, ხოლო 1933 წელს ხომ მხარი დაუჭირა სირიისა და ერაყის გაერთიანებას მეფე ფეისალის მმართველობის ქვეშ.

ამ ვითარებაში იგი კიდევ ერთხელ სთხოვს ფიურერს, გამოვიდეს საჯარო განცხადებით იმისათვის, რომ არაბებმა იმედი არ დაკარგონ, იმედი კი ნებისმიერი ერის ცხოვრებაში ძლიერი ძალაა. გულში ასეთ იმედჩასახული არაბები, როგორც უკვე აღინიშნა, მოლოდინით იცხოვრებენ. ისინი თავიანთი მისწრაფებების დაუყოვნებლივ რეალიზაციას კი არ დაიჟინებენ, ნახევარ ან მთელ წელიწადსაც მოიცდიან. მაგრამ თუ ამგვარი დეკლარაციის იმედით არ აღივსებიან, მაშინ სავსებით მოსალოდნელია, რომ ინგლისელები თავისთვის შემოაბრუნებენ საქმეს.

ფიურერმა უპასუხა, რომ ამ საკითხებში გერმანიის პოზიცია, როგორც თვით მუფტიმ აღნიშნა, ნათელია. გერმანია ებრაელებთან უკომპრომისო ომის მომხრეა. ეს, ბუნებრივია, შეიცავს ოპოზიციას პალესტინაში ებრაული ეროვნული კერისადმი, რომელიც სხვა არაფერია, თუ არა სახელმწიფოს ფორმამიღებული ცენტრი ებრაული ინტერესების დამანგრეველი გავლენის რეალიზაციისათვის. გერმანიას ასევე, შეგნებული აქვს, რომ იმის მტკიცება, თითქოს ებრაელები პიონერები არიან პალესტინის ეკონომიკურ ათვისებაში, მტკნარი სიცრუეა. იქაური სამუშაო არაბების ხელით კეთდება და არა ებრაელებისა. გერმანიას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი, ნაბიჯ-ნაბიჯ მოითხოვოს ყოველი ევროპული ნაციისგან, რომ მათ, ერთმანეთის მიყოლებით, გადაწყვიტონ თავიანთი ებრაელების პრობლემა, შემდეგ კი, შესაფერის დროს, ის ისევე მიუდგება არაევროპელ ხალხებს.

მოცემულ მომენტში გერმანია ჩაბმულია სამკვდრო-სასიცოცხლო ომში ებრაული ძალის ორ ციტადელთან: დიდ ბრიტანეთსა და საბჭოთა კავშირის კომუნიზმს შორის. მაგრამ, სინამდვილეში, ებრაელებს ორივე ქვეყანაში საერთო მიზნები აქვთ. ლაპარაკია, გადამწყვეტ შერკინებაზე; პოლიტიკურ პლანში ის შეიძლება წარმოვადგინოთ, როგორც გერმანიასა და ინგლისს შორის კონფლიქტი; მაგრამ იდეოლოგიურად ეს არის ბრძოლა ნაციონალ-სოციალიზმსა და ებრაელთა შორის. გერმანია, რასაკვირველია, პოზიტიურ და პრაქტიკულ დახმარებას აღმოუჩენს იმავე ომში ჩათრეულ არაბებს, რადგან პლატონიური დაპირებები უსარგებლოა ომის სიტუაციაში, ომისა, რომლის შედეგი იქნება გადარჩენა ან განადგურება; ომისა, რომელშიც ებრაელებმა შესძლეს თავის მხარეზე გაეკეთებინათ ინგლისის მთელი ძალების მობილიზება.

არაბებისადმი დახმარება პრაქტიკული უნდა იყოს. იმაზე, თუ რამდენად მცირეა ამგვარ ბრძოლაში მხოლოდ სიმპატიებით დახმარება, აშკარად მეტყველებს ოპერაცია ერაყში, სადაც მოვლენებმა საშუალება არ მოგვცა მართლაც ეფექტური, პრაქტიკული დახმარება აღმოგვეჩინა. მიუხედავად მთელი ამ სიმპატიებისა, გერმანიის დახმარება არასაკმარისი აღმოჩნდა და ერაყი ებრაელთა დამცველმა ბრიტანეთის ძალამ დაიმორჩილა.

მაგრამ მუფტის, რასაკვირველია, შეგნებული აქვს, რომ მოცემულ მომენტში, მიმდინარე ომი განსაზღვრავს არაბული სამყაროს ბედს. ამიტომ ფიურერმა უნდა იფიქროს და ილაპარაკოს გამოზომილად და აწონ-დაწონილად, როგორც რაციონალურმა ადამიანმა და, უპირველეს ყოვლისა, როგორც ჯარისკაცმა, როგორც გერმანიისა და მოკავშირე არმიების ბელადმა. ყველაფერი, რაც საერთო საქმისათვის ამ ტიტანურ ბრძოლაში, მათ შორის არაბთა საქმეში, დაგვეხმარება, უნდა გაკეთდეს. მეორე მხრით, ყველაფერი, რაც სამხედრო სიტუაციას დაასუსტებს, უნდა მოისპოს, და მნიშვნელობა არა აქვს, რამდენად არაპოპულარულად ჩაითვლება ასეთი ნაბიჯი.

გერმანია ახლა გააფთრებულ ომს აწარმოებს იმისათვის, რომ გზა გაიჭრას ჩრდილო კავკასიისაკენ. პრობლემები, ძირითადად, დაკავშირებულია მომარაგების საკითხებთან, რომელიც გაძნელებულია დანგრეული რკინიგზისა და შოსეების გამო, ასევე მოახლოებული ზამთრისაგანაც. თუ ფიურერი, ამ მომენტში, თავის დეკლარაციაში სირიის პრობლემას შეეხება, ეს საფრანგეთში ახალი ძალით აღავსებს იმ ელემენტებს, რომლებიც დე გოლის გავლენის ქვეშ იმყოფებიან. ისინი ფიურერის დეკლარაციას ისე გაიგებენ, თითქოს ფიურერს განზრახული ჰქონდეს მთელი ფრანგული კოლონიალური იმპერიის დანგრევა და გამოვლენ მოწოდებით თავიანთი თანამემამულეებისადმი – შეეკრან ინგლისელებს, რათა გადაარჩინონ ის, რისი გადარჩენაც ჯერ კიდევ შესაძლებელია. სირიაზე გერმანიის დეკლარაციას საფრანგეთში გაიგებენ, როგორც მთლიანად ფრანგული კოლონიების საწინააღმდეგოს. ეს კი ახალ პრობლემებს შექმნის დასავლეთ ევროპაში, რაც იმას ნიშნავს, რომ გერმანიის შეიარაღებულ ძალთა ნაწილი შებოჭილი აღმოჩნდება დასავლეთში და მიუწვდომელი გახდება აღმოსავლეთის კომპანიისათვის.

შემდეგ ფიურერმა მუფტისათვის გააკეთა შემდეგი განცხადება, თანაც დაბეჯითებით ურჩია ეს განცხადება გულის სულ შორეული კუნჭულში გადაენახა:

1. ის (ფიურერი) იბრძოლებს ევროპაში იუდეური-კომუნისტური იმპერიის სრულ განადგურებამდე.

2. გარკვეულ მომენტში, რომელსაც ახლა ზუსტად ვერ განსაზღვრავ, მაგრამ რომელიც ყველა შემთხვევაში ცხრა მთის გადაღმა არ არის, ამ ბრძოლაში გერმანული არმიები მიაღწევენ კავკასიიდან სამხრეთ გასასვლელს.

3. როგორც კი ეს მოხდება, ფიურერი პირადად დაარწმუნებს არაბულ სამყაროს, რომ გათავისუფლების საათი დადგა. მაშინ გერმანიის დღის წესრიგის ერთადერთი პუნქტი იქნება ბრიტანული ხელისუფლების საფარქვეშ არაბულ სფეროში შეყუჟული ებრაული ელემენტის განადგურება. ამ დროს მუფტია გახდება ყველაზე ავტორიტეტული რუპორი არაბული სამყაროსათვის. მისი ამოცანა იქნება აამოქმედოს ის არაბული ოპერაციები, რომლებიც მან საიდუმლოდ მოამზადა. როცა ეს მომენტი დადგება, გერმანიას უკვე აღარ აალევებს ხსენებულ დეკლარაციაზე საფრანგეთის რეაქცია.

გერმანიამ უკვე გაწმინდა გზა ირანისა და ერაყისაკენ როსტოვის გავლით. ეს იქნება ბრიტანული მსოფლიო იმპერიის დასასრულის დასაწყისი. მას (ფიურერს) სწამს, რომ დამდეგი წელი საშუალებას მისცემს გერმანიას გაანგრიოს, კავკასიური ჭიშკარი ახლო აღმოსავლეთისაკენ საერთო საქმის სასარგებლოდ უკეთესი იქნება, თუ არაბულ საკითხზე განცხადება რამდენიმე თვით გადაიდება; წინააღმდეგ შემთხვევაში, გერმანია შეიქმნის ზედმეტ სიძნელეებს და საშუალება აღარ ექნება არაბების დასახმარებლად.

მას (ფიურერს) სრულიად ესმის არაბების სურვილისა მიიღონ საჯარო დეკლარაცია, რომელზეც დიდი მუფტია ლაპარაკობს. მაგრამ სთხოვს მას, მხედველობაში მიიღოს, რომ იგი თვითონ, ფიურერი, გერმანული რეიხის მეთაური იყო ხუთი გრძელი წელიწადის მანძილზე, რომლის განმავლობაში თავს უფლება ვერ მისცა, გამოეცხადებინა თავისი საკუთარი ქვეყნის გათავისუფლება. ის იძულებული იყო დაეცადა მანამ, სანამ ასეთი განცხადების გაკეთება შესაძლებელი გახდებოდა იმ სიტუაციის საფუძველზე, რომელიც ანშლუსის შემქმნელი შეიარაღებული ძალების დახმარებით შეიქმნა.

იმ მომენტში, როცა გერმანიის სატანკო დივიზიები და საჰაერო ესკადრილიები სამხრეთ კავკასიაში აღმოჩნდებიან, არაბული სამყარო მიიღებს საჯარო განცხადებას, რომელსაც დიდი მუფტია თხოულობს.

დიდმა მუფტიამ უპასუხა, რომ მისი აზრით, ყველაფერი ისე უნდა მოხდეს, როგორც ფიურერი ბრძანებს. ის სავსებით დარწმუნებული და კმაყოფილია სიტყვებით, რომლებიც გერმანიის სახელმწიფოს ბელადისაგან მოისმინა. იმავე დროს, ის სვამს კითხვას: შესაძლებელი ხომ არ იქნება, თუნდაც საიდუმლოდ, გერმანიასთან დაიდოს შეთანხმება იმ მიმართულებით, როგორიც მან ფიურერს დაუხატა?

ფიურერმა უპასუხა, რომ სწორედ ასეთი კონფედენციალური განცხადება გადასცა ამ წუთში დიდ მუფტიას.

დიდმა მუფტიამ მადლობა მოახსენა ფიურერს ამისათვის და ბოლოს აღნიშნა, რომ სრულიად დამშვიდებული მიდის და კიდევ ერთხელ იხდის მადლობას არაბული საკითხისადმი გამომჟღავნებული ინტერესისთვის.

ეს დოკუმენტი ნათელს ფენს იმ მიზეზებს, რომელთა გამოც მუფტიამ მეორე მსოფლიო ომის დროს პარტნიორად ამოირჩია გერმანია: „გერმანია უკომპრომისო ომს აცხადებს ებრაელობასთან“, „იდეოლოგიურად ეს არის ომი ნაციონალ-სოციალიზმსა და ებრაელობას შორის“, „გერმანიას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი, ნაბიჯ-ნაბიჯ მოითხოვოს ყოველი ევროპული ნაციისაგან, რომ მათ, ერთმანეთის მიყოლებით, გადაწყვიტონ თავიანთი ებრაელების პრობლემა, შემდეგ კი, შესაფერის დროს, ის ისევე მიუდგება არაევროპელ ხალხებს.“

თუ „საკუთარი ებრაელების პრობლემის“ გადაწყვეტა გერმანიის მოთხოვნით ჯერ ყოველმა ევროპულმა ნაციამ, შემდეგ კი არაევროპელმა ხალხებმაც უნდა მოახდინონ, ძნელი არ

(დასასრული მე-8 გვ.)

# ნურით ელშტეინი: ქნესეთის თავმჯდომარე დალია იციკი ძლიერი პიროვნებაა



**ნურით ელშტეინი თელ-ავივში დაიბადა. იურისპრუდენცია იერუსალიმის უნივერსიტეტში შეისწავლა. წლების განმავლობაში მრავალი მნიშვნელოვანი თანამდებობა ეკავა. მათ შორის იყო იურიდიული მრჩეველი კომუნიკაციისა და კავშირგაბმულობის სამინისტროში. 20 წელზე მეტი სახელმწიფო პროკურატურაში მუშაობდა სამუშაო ურთიერთობების – შრომითი მოწყობის პრობლემების განყოფილებაში. უზენაეს სასამართლოში მისი ძირითადი მოვალეობა სახელმწიფო ინტერესების წარმოდგენა იყო.**

თბილისში სტუმრობისას ქ-ნი ნურითი გაზეთ „მენორას" სტუმარი გახლდათ.

**– ქ-ნო ნურით, გაეცანით გაზეთ „მენორას" მკითხველს.**

– ერთი წლის წინათ ისრაელის ქნესეთის იურიდიული მრჩევლად დავინიშნე. იმისთვის, რომ კარგად გაიგოთ ის ფუნქცია, რაც მე მაკისრია, მოკლედ გიამბობთ ქნესეთის საქმიანობაზე. ისევე, როგორც ყველა პარლამენტი, ქნესეთიც საკანონმდებლო ორგანოა, იგი კონსტიტუციური უფლებებითაც არის დაკავებული. არის კანონები, რომლებსაც კონსტიტუციური სტატუსი აქვს. ამას დამატებული ქნესეთის ძირითადი ამოცანა არის სახელმწიფოს ყველა ვალდებულების შესრულების კონტროლი. ესაა სახელმწიფოსთან კავშირი. ამის ჩარჩოებში, როცა არჩევნები მთავრდება და იქმნება ახალი ხელისუფლება, მან ქნესეთის მხარდაჭერა უნდა მიიღოს. სანამ ქნესეთი ხელისუფლების მიმართ ნდობას დაამტკიცებს, სახელმწიფო ქაღალდზე არსებობს, ფაქტიურად არ ფუნქციონირებს. ქნესეთის წევრებს უფლება აქვთ თავისთან მოიწვიონ ნებისმიერი მინისტრი, ჩინოვნიკი, ქვეყნის პირველი პირიც კი, რათა განიხილონ მათი ქმედებები. მაგალითად, ლიბანის ომის დროს ქნესეთმა თავისთან მიიწვია თავდაცვის მინისტრი, პრემიერ-მინისტრი, გენერალური შტაბის უფროსი, რათა მათ აეხსნათ თავისი ქმედება ომის პერიოდში, ეს შედის პარლამენტის ვალდებულებასა და უფლებამოსილებაში. არსებობს აღმასრულებელი და მაკონტროლებელი ორგანო. ხელისუფლება ესაა აღმასრულებელი ორგანო, რომელიც მოქმედებს, არსებობს ასევე მაკონტროლებელი ორგანო. ნარჩუნდება ბალანსი აღმასრულებელ და მაკონტროლებელ ორგანოთა შორის. ამის გარდა, არის მაკავშირებელი სისტემა ქნესეთსა და უმაღლეს სასამართლოს შორის, რადგან უზენაეს სასამართლოს ძალუძს გააკრიტიკოს ყველა ის კანონი, პარლამენტის წევრებთან არ იყვნენ დაკავებულნი ბიზნესით, რომელიც მათ საპარლამენტო საქმიანობას ეწინააღმდეგება. ქნესეთში მუშაობს ეთიკის კომისია.

მე ვდგავარ ქნესეთის იურიდიული კონსულტაციის სათავეში. ჩემს დაქვემდებარებაში იმყოფება 35 ახალგაზრდა ადვოკატი და პრაქტიკანტი.

როცა მისაღებია კანონები, რომლებიც მოქმედებს არა მხოლოდ ისრაელში, არამედ მსოფლიოში, ამისთვის აუცილებელია უამრავი მასალის მოგროვება იმაზე, თუ რა ხდება ამ სფეროში მსოფლიოში, სწორედ ესაა ჩემი საქმიანობის ფუნქცია. ამიტომ გვაქვს სხვადასხვა პარლამენტებთან ურთიერთობა. იურიდიულ კონსულტაციებთან არსებობს კვლევითი განყოფილებები. კავშირი გვაქვს საქართველოს პარლამენტთანაც. ამიტომ გლობალიზაციის დროს ჩვენ ხშირად ნაციონალურ ზღვარს ვცდებით, რადგან საერთო ინტერესები გვაქვს.

ისრაელში სამი საკანონმდებლო სისტემაა: ქნესეთი, სასამართლო და პრეზიდენტი, რომელიც მხოლოდ წარმომადგენლობით ფუნქციას ასრულებს. ისრაელი არასაპრეზიდენტო რესპუბლიკაა. ჩვენი ქვეყნის პირველი პირი არის პრემიერ-მინისტრი. ქნესეთს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფუნქცია არის სახელისუფლებო კონტროლი. მე უბრალოდ არ მიხსენებია სახელმწიფო კონტროლიორი და პრეზიდენტი. ორივეს ქნესეთი ირჩევს. მხოლოდ ქნესეთს შეუძლია მოითხოვოს მათი გადაყენება, შეწყვიტოს მათი საქმიანობა კადენციის ვადის დამთავრებამდე.

**– დღეს, როცა ქვეყანაში დგას პრეზიდენტის პასუხისმგებლობის საკითხი რა როლს ასრულებს ქნესეთი?**

– არავისთვის საიდუმლო არ არის, რომ ტარდება გამოძიება. მხოლოდ სახელმწიფოს იურიდიულ მრჩეველს მენი მაზუზს აქვს უფლება მოითხოვოს გამოძიება. მან თქვა, რომ უნდა აღიძრას სისხლის სამართლის საქმე. ეს არაა ბნელი ჩანაფიქრი, ან ბოროტი ზრახვები პრეზიდენტის წინააღმდეგ. რომ ყოფილიყო ნებისმიერი მაღალი დონის ჩინოვნიკი, მინისტრი, იგი უნდა გადამდგარიყო თანამდებობიდან ან მოვალეობის შესრულებაზე დროებით მაინც უნდა ეთქვა უარი. მაგალითად, იუსტიციის მინისტრის წინააღმდეგ იყო და არის ეჭვები სექსუალურ ძალადობაზე, მან მაშინვე მიიღო გაფრთხილება სახელმწიფოს იურიდიული მრჩევლისგან, რომ უარი ეთქვა მთელი რიგი ფუნქციების შესრულებაზე და მაშინ, როცა ითქვა, რომ მის წინააღმდეგ აღიძრებოდა სისხლის სამართლის საქმე, მინისტრმა მაშინვე დატოვა თანამდებობა. რაც შეეხება პრეზიდენტს, აქ საქმე სხვაგვარადაა. მაშინ, როცა კანონი იქმნებოდა, ვერავინ წარმოიდგენდა, რომ მსგავსი სიტუაცია შეიქმნებოდა. 2002 წ. პრეზიდენტ ვეიცმანის წინააღმდეგ დაიწყო ძიება, აღმოჩნდა, რომ არ არსებობდა არანაირი უფლება, რომ მას თანამდებობა დაეტოვებინა, მაშინაც კი, თუ ის ამას მოინდომებდა, მაშინ კანონში შეტანილ იქნა ცვლილებები. იმ პრეზიდენტმა, რომლის წინააღმდეგაც მიმდინარეობს ძიება, თვითონ უნდა ითხოვოს თანამდებობის დატოვება, მაგრამ ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ვინმე ისე მოიქცეოდა, როგორც დღევანდელი პრეზიდენტი იქცევა. მან თვითონ უნდა მიმართოს ქნესეთს, რომ შეუჩეროს უფლებამოსილება, მაგრამ იგი ამას არ აკეთებს. ძიება უკვე დასრულებულია. თუ სახელმწიფოს იურიდიული მრჩეველი ჩათვლის, რომ გამოძიებული მასალა საკმარისია, რომ ბრალი წაუყენონ პრეზიდენტს, მაშინ მრჩეველი მოითხოვს პრეზიდენტს შეუჩერდეს უფლებამოსილება. იმედი მაქვს, როცა საამისო სიტუაცია შეიქმნება, პრეზიდენტი ქნესეთს სთხოვს დროებით წავიდეს თანამდებობიდან. ვიმედოვნებ, რომ, თუ იურიდიული მრჩეველი ჩათვლის საჭიროდ, რომ პრეზიდენტს წაუყენონ წინასწარი ბრალეულობა, პრეზიდენტი თავად დატოვებს თანამდებობას. პრეზიდენტს იმუნიტეტი იცავს და მას არ შეიძლება წაუყენონ ბრალი, მანამ სანამ ამ თანამდებობაზე იმყოფება. თუ პრეზიდენტი ასე არ მოიქცევა, მაშინ მოხდება ის, რასაც შეიძლება მიწისძვრა დავარქვათ. ქნესეთს აქვს უფლება დაითხოვოს პრეზიდენტი თანამდებობიდან, მაგრამ ამისთვის საჭიროა 2/3 დეპუტატის ხელმოწერა, ანუ 90-მდე ადამიანის ხელმოწერა. ეს ძალიან ბევრია და ადვილი არ არის. მინდა მჯეროდეს, რომ ჩვენ აქამდე არ მივალთ, რადგან ყოველივე ეს, პრეზიდენტის ინსტიტუტს ზიანს მოუტანს.

პრეზიდენტს ბრალი ედება სექსუალურ ძალადობაში, სექსუალური ურთიერთობის მუქარით დამყარებაში, ამასთან მოსმენებში და შეწყალების თაობაზე ზოგიერთ შეუსაბამობაში, ესაა ერთადერთი ფუნქცია, რომელსაც პრეზიდენტი ასრულებს.

თუმცა, ჟურნალისტები ამ საკითხს დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებენ, მათთვის უფრო მიმზიდველი სექსუალურ ძალადობაზე საუბარია.

ვფიქრობ, მთავარი თემა სწორედ შეწყალების თემაა, მაგრამ ამას უფრო ნაკლები ყურადღება ექცევა. ჩემთვის დიდი იმედგაცრუებაა ამ პრეზიდენტის ქმედება, რადგან იგი ერთადერთია, რომელიც ხელისუფლების პარტიიდანაა მოსული და არა მემარცხენეებიდან. იგი პირველი პრეზიდენტია, რომელიც ირანიდან (აღმოსავლეთიდან) გამომავალ თემს მიეკუთვნება. ჩვენს ქვეყანაში არის პოლარიზაცია აშქენაზები და სეფარდები, მნიშვნელოვანი იყო, რომ პრეზიდენტი ყოფილიყო აღმოსავლეთის რომელიმე ქვეყნიდან ე.ი. ყოფილიყო სეფარდი.

**– დგას თუ არა დღეს ქნესეთში ქვორუმის პრობლემა და როგორ სჯიან იმ პარლამენტარებს, რომლებიც აცდენენ სხდომებს?**

– არსებობს საპარლამენტო ეთიკის კომიტეტი, რომელიც ამ საქმეს კურირებს. აკონტროლებენ დეპუტატთა ქმედებას. არსებობს სხდომები, რომელზეც დეპუტატებს შეუძლიათ არ დაესწრონ.

მაგრამ იმ დეპუტატების წინააღმდეგ, რომლებიც აცდენენ სხდომებს და ზღვარს გადადიან, არსებობს სხვადასხვა სანქცია, მაგრამ ყოველივე სასჯელი უკბილოა. ყველაზე სერიოზული სასჯელი, რაც შეიძლება მათ მიიღონ, არის ფაქტის პუბლიკაცია, ეს მათ პოპულარობაზე ნეგატიურად მოქმედებს.

ისრაელის პარლამენტის ისტორიაში პირველად, ქნესეთის თავმჯდომარე ქალია – დალია იციკი. იგი ძალიან ძლიერი პიროვნებაა და დეპუტატები ერიდებიან მასთან ურთიერთობის გამწვავებას.

ამიტომ დღეს სხდომებზე დასწრება უფრო მაღალია, ვიდრე ყოფილა. ამას გარდა, იგი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ესთეტიკას. დალია იციკმა მცირე თანხით ქნესეთის შიდა შენობა შეღება, რათა დეპუტატებს სიამოვნებდეთ იქ ყოფნა. მან ახალგაზრდა ქალებს მოკლე კაბები და ამოღებული ტანსაცმლით სიარული აუკრძალა. ისინი ქნესეთში მოდიოდნენ ისე, როგორც პლაჟზე. ეს კი დაუშვებელია, რადგან დეპუტატებს შორის ბევრი რელიგიური პირია, რომელთა წინაშეც ასე გამოცხადება უპატივცემულობაა. მინდა აღვნიშნო, რომ დალია იციკიც აღმოსავლეთიდან გამოსულია. მისი ოცნებაა ქნესეთის ყოველი თანამშრომელი იყოს ამაყი იმით, რომ ქნესეთში მუშაობს.

**ნინო ლომია**

**საქართველოს ებრაელთა მსოფლიო კონგრესის თანათავმჯდომარეს,**
**გაზეთ „მენორას" რედაქტორს ბ-ნ გურამ ბათიაშვილს**

გვიახლოვდება როშ ჰაშანა. ვისურვებ, რომ ეს წელი ფეხბედნიერი ყოფილიყოს მსოფლიოს ებრაელობისთვის. ჯანმრთელობას, ბედნიერებას და სიმშვიდეს გისურვებთ.

ისრაელის ქნესეთის თავმჯდომარე დალია იციკი

ისრაელის ქნესეთის თავმჯდომარე დალია იციკმა ასეთი მისალოცი წერილი საქართველოს რამდენიმე ებრაულ ორგანიზაციაში გამოგზავნა. ეს კიდევ ერთხელ მეტყველებს იმას, რომ საქართველო და მისი ებრაელობა ყურადღების ცენტრში ექცევა.

## ყოველთვიური მიმოხილვა

რუბრიკას უძღვება
**თემურ იაკობაშვილი**

# საქართველოს პრეზიდენტის წუხილი ყველაზე მეტად ებრაელებმა გაიგეს



გასული თვის მნიშვნელოვან მოვლენად ითვლება საქართველოს პრეზიდენტის ბ-ნი მიხეილ სააკაშვილის ვიზიტი ისრაელში. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სააკაშვილი არის პირველი სახელმწიფო მეთაური, რომელიც ხაიფას, დაბომბვის შემდეგ ეწვია. ამას ძალიან სერიოზული და სიმბოლური მნიშვნელობა ჰქონდა, რაც არაერთხელ აღინიშნა ისრაელის მხრიდან, უშუალოდ ხაიფის მერის მხრიდან.

მნიშვნელოვანი დამთხვევაა ის, რომ ეს ყველაფერი ხდება იმ ფონზე, როდესაც საქართველოსა და ქართველების მიმართ რუსეთში ხორციელდება ძალიან სერიოუზლი ქსენოფობიური, ფაშიზმში გადამავალი მოვლენები. ასეთ სიტუაციაში საქართველოს პრეზიდენტის ვიზიტი იმ ქვეყანაში, რომელმაც სამწუხაროდ თავის თავზე გამოსცადა ფაშიზმისა და ქსენოფობიის სიმძიმე, მეტად სიმბოლურია. ამ დროს გამახსენდა „ქართლის ცხოვრება", როდესაც წმინდა ნინო ამბობს, რომ ის ჩავიდა ქვეყანაში, რომელშიც თაყვანს სცემდნენ ქვას, კლდეს, ხეს – შემდეგ კი წერია, რომ იგი შევიდა ურიათა სინაგოგაში და ქრისტიანობა პირველად იქ იქადაგა. ამის ანალოგიური გახლდათ ის, რომ პრეზიდენტი მიხ. სააკაშვილი თავისი სატკივრით მივიდა ებრაელებთან და მათ ყველაზე კარგად გაიგეს სააკაშვილის წუხილი.

ამას გარდა, სერიოზული მნიშვნელობა ჰქონდა პრეზიდენტის მოხსენება ენერგეტიკული კვლევის ცენტრის საინაუგურაციო გამოსვლაზე, ეს მაშინ, როდესაც ბოლო პერიოდში ენერგეტიკა ერთ-ერთ სერიოზულ პრიორიტეტად გადაიქცა არა მხოლოდ საქართველოსთვის, მთელი მსოფლიოსთვის. ის ენერგეტიკული პრიორიტეტები, რომელიც ჩვენს რეგიონში ხორციელდება მნიშვნელოვან წილად ზრდის ჩვენს როლსა და ადგილს საერთაშორისო სისტემაში. ამდენად ამ ფორუმში მონაწილეობა საქართველოსთვის მნიშვნელოვანი იყო, ვინაიდან მას არა მარტო თავისი სატკივარი ეთქვა, არამედ თავისი ქვეყნის განვითარების გეგმებზე ესაუბრა, წარმოეჩინა საქართველო, როგორც მნიშვნელოვანი ენერგეტიკული ტრანზიტის განვითარების თვალსაზრისით. შეგახსენებთ, რომ ამ კონფერენციაზე სიტყვით გამოვიდა ენერგეტიკის მინისტრიც, რომელმაც ვრცლად ისაუბრა საქართველოს ხედვაზე. ამ გამოსვლამ დიდი დისკუსიები გამოიწვია. ისრაელელი ინვესტორები საქართველოს ენერგეტიკით დაინტერესდნენ.

რა თქმა უნდა, სიმბოლური იყო ის ფაქტი, რომ სააკაშვილს გადაეცა ხაიფას უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის წოდება. ეს გახლავთ საკმაოდ მაღალი რანგის წოდება და მნიშვნელოვანია ნებისმიერი სახელმწიფო მოხელისათვის. სიგელში, რომელიც სააკაშვილს გადაეცა, აღნიშნულია, რომ მან ეს წოდება დაიმსახურა დემოკრატიის განვითარებისა და დემოკრატიული რეფორმის გატარებისთვის. სიგელი ქართულ, ინგლისურ და ებრაულ ენოვანია. სიგელის გადაცემა ხდება იმ ფონზე, როდესაც რუსეთი საქართველოს წარმოაჩენს, როგორც აგრესორს, როგორც მჩაგვრელს, რომელსაც ომის დაწყება სურს. მაშინ, როდესაც საერთაშორისო აზრის მანიპულირება ხდება, რომ ქართველები არიან აგრესორები, ისრაელში ჩადის საქართველოს პრეზიდენტი და მას დემოკრატიის განვითარებისათვის და ადამიანთა უფლებების დაცვისთვის დოქტორის წოდებას აძლევენ.

ამდენად, ეს იყო საკმაოდ მნიშვნელოვანი ვიზიტი როგორც სიმბოლიკით, ისევე თავისი ტაქტიკური თვალსაზრისითაც, ვინაიდან საქართველომ შეძლო საერთაშორისო ფორუმზე თავისი სიტყვის თქმა და თავისი პოზიციების დაფიქსირება.

ამის პარალელურად დინამიურად განვითარდა მოვლენები აშშ კონგრესშიც და სენატშიც, უმრავლესობაში გავიდნენ დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლები. ეს პრინციპში მოსალოდნელი გამარჯვება იყო, გადამწყვეტი მომენტი გამოდგა ერაყთან დაკავშირებული სიტუაცია. ერაყის თემა კიდევ დიდხანს იქნება განხილვის საგანი, მაგრამ მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ ესეთი ცვლილება, რომელიც კონგრესში მოხდა, ავტომატურად აღნიშნავს სერიოზულ საგარეო პოლიტიკური კურსის ცვლილებას, მსურს შეგახსენოთ, რომ რეიგანის დროსაც ძალთა ბალანსი კონგრესსა და სენატს შორის დაახლოებით ასეთივე იყო; მისი პოლიტიკა იყო საკმაოდ ხისტი, მაგრამ როგორც აღმოჩნდა, საკმაოდ წარმატებულიც. ამდენად რაღაც სერიოზული რყევები მარჯვნივ ან მარცხნივ პრინციპში გამორიცხულია. აღსანიშნავია, რომ ადმინისტრაციის ერაყულ პოლიტიკას აკრიტიკებენ არა მარტო დემოკრატები, ზოგჯერ კრიტიკა გაისმის უშუალოდ რესპუბლიკური პარტიის წარმომადგენლების მხრიდან. სავარაუდოა, რომ აშშ შეეცდება შეცვალოს მიდგომები ერაყის საკითხთან დაკავშირებით, რაში შეიძლება გამოიხატოს ეს სიახლე? ერაყის დაშლაში თუ სხვა რამეში, ძნელი სათქმელია, მაგრამ ფაქტია, რომ ამ თვალსაზრისით რაღაც სერიოზული კორექტირებებია მოსალოდნელი. ნაკლებ სავარაუდოა, რომ ამ კორექტირებამ გავლენა იქონიოს ქართულ პოლიტიკაზე. სპეკულაცია იმასთან დაკავშირებით, რომ შეიცვალა საქართველოში ხელმძღვანელობის ორიენტაცია, რადგან აშშ არჩევნები ჩატარდა, ეს რა თქმა უნდა, აბსურდულია.

საინტერესო არჩევნები ჩატარდა უშუალოდ საქართველოში. მხედველობაში მაქვს სამხრეთ ოსეთის პარალელური არჩევნები თავისი რეფერენდუმებით. ვფიქრობ, თავიდანვე ცხადი იყო, რომ ამ არჩევნებს სერიოზული შედეგი არ მოჰყვებოდა, ვინაიდან თავიდანვე ცხადი პოზიციები დაიკავა საერთაშორისო თანამეგობრობამ – ისინი არ მიესალმებოდნენ და არ სცნობდნენ ამ არჩევნების შედეგებს.

სიტუაცია საინტერესოდ განვითარდა: აშკარად გამოჩნდა, რომ ოსური საზოგადოება არც ისე ერთმნიშვნელოვნად ემხრობა კოკოითს. სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე არსებობს დაპირისპირებები, რომლებიც შიდა კონფლიქტის ხასიათს ატარებს. ამ არჩევნებმა და რეფერენდუმმა ეს სხვაობა კიდევ ერთხელ დააფიქსირა. სხვაობა საინტერესოა იმ თვალსაზრისითაც, რომ დაპირისპირების ყველა მხარე ხვდება, დამოუკიდებელი სამხრეთ ოსეთი არ შეიძლება არსებობდეს. ლაპარაკია, რომ ეს იყო ჭიდილი არა დამოუკიდებლობისათვის, არამედ ინტეგრაციული კურსისთვის, ანუ სად უნდა იყოს სამხრეთ ოსეთი – საქართველოს თუ რუსეთის შემადგენლობაში.

ჩემი აზრით, ასეთი ტიპის რეფერენდუმი ბუნდოვანს ხდის ოსეთის მოსახლეობის მომავალს და განვითარების ვექტორს, რადგანაც სიცხადე არ შეაქვს და ატყუებენ ხალხს, რომ სამხრეთ და ჩრდილოეთ ოსეთი შეიძლება გაერთიანდეს. რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი სამწუხაროა, მაგრამ ეს არჩევნები იყო ის გზა, რომელიც ალბათ, გასავლელი გახლდათ, იმისათვის, რომ საქართველოს რუსეთსა და ოსეთს დაენახა, რომ ოსეთში ერთმნიშვნელოვნად არ არის ყველაფერი და დროა ამ კონფლიქტს ბოლო მოეღოს.

რას ვკითხულობთ ამ კვირაში?

რუბრიკას უძღვება საქართველოს მთავარი რაბინი

**არიელ ლევინი**

# თოლდოთ



კვირის საკითხავ თავში „თოლდოთ“ თორა მოგვითხრობს, რომ ჩვენი დიდი მშობლების იცხაკისა და რივკას ხანგრძლივი დროის განმავლობაში შთამომავლობისათვის ლოცვის შემდეგ რივკა დაფეხმძიმდა. მის ორ ვაჟს შორის ბრძოლა დედის საშოშივე დაიწყო და ამით დედას დიდ ტკივილს აყენებდნენ.მას შემდეგ კი რაც მას უწინასწარმეტყველეს, რომ მისი ერთი ვაჟი წმინდანი იქნება, მეორე კი – უწმინდური, ის საერთოდ დაეჭვდა, ღირდა თუ არა ამისათვის ლოცვა. მაგრამ მას აუხსნეს, რომ ისეთი წმინდანისათვის, როგორიც იაკობი იქნებოდა, ნამდვილად ღირდა ლოცვა. იაკობი ხომ ებრაელი ხალხის დიდ მამად მოიაზრებოდა და ასეთად მოგვევლინა კიდეც.

და მაინც, არც ერთი მშობელი არ უნდა განაწყენდეს არანაირი შვილის გაჩენის გამო. საჭიროა მათი აღზრდა და ლოცვა იმისათვის, რომ ღირსეულ ადამიანებად ჩამოყალიბდნენ.

გემარის ერთ ნაწილში „შაბათი“ მოთხრობილია: ასტროლოგებმა რაბი ნახმან ბენ იცხაკის დედას უწინასწარმეტყველეს, რომ მისი შვილი ქურდი გამოვიდოდა. ისინი კი არ ჰგავდნენ თანამედროვე „წინასწანმეტყველებს“, ხედავდნენ იმას, რაც სინამდვილეში უნდა მომხდარიყო. მაგრამ დედამ არ დაყარა ფარხმალი. ის პატარაობიდანვე ცდილობდა შვილს უქუდოდ არ გაევლო, უნერგავდა მას გამჩენის შიშს. გარდა ამისა, ის მხურვალედ ლოცულობდა შვილისათვის მანამ, სანამ მისგან რაბი ნახმან ბარ იცხაკი არ „გამოძერწა“. დედის დიდი მცდელობის მიუხედავად, ერთხელ რაბი ნახმანი ლეღვის ხის ქვეშ იჯდა და თორას სწავლობდა. ამ დროს ქუდი დაუვარდა და მის ასაღებად რომ დაიხარა, თვალში მოხვდა მწიფე ლეღვები, ვერ გაუძლო ცდუნებას, მოჭრა ერთი ტოტი და ნაყოფს შეექცა. მისი ცხოვრების განმავლობაში ეს მოხდა მხოლოდ ერთხელ. და ის ადამიანი, რომელიც ქურდი უნდა გამოსულიყო, იქცა ისეთ დიდ ბრძნად, რომ მისი გარდაცვალების შემდეგ რაბინები დანანებით ამბობდნენ: „აღარ დარჩა გამჩენის მოშიში ადამიანი (რა თქმა უნდა, მისი დონის). აი, რა შეიძლება მოყვეს სწორ ებრაულ აღზრდას და გულიან ლოცვას.

ამ თავში მოთხრობილია იაკობისა და ესავის დავა პირველშობილების უფლებისათვის, რათა მიეღოთ იცხაკის დალოცვა. რაბი ბაგი კითხულობს, რაზე კამათობდნენ ისინი, რაში მდგომარეობს იცხაკის დალოცვის (ბერახის) აზრი. თუ აზრი ისაა, რომ ვისაც წმინდანი ლოცავს ის დალოცვილი იქნება, მაშინ ესავი მართალია, როცა მამას იაკობის დალოცვის შემდეგ ეკითხება: „ნუთუ მხოლოდ ერთი ლოცვა გაქვს, მამა?“ რაბი ბაგი პასუხობს, რომ წმინდანს ყველასათვის მხოლოდ მისთვის განკუთვნილი ლოცვა აქვს. ბერახას შეუძლია მხოლოდ გააძლიეროს ის, რაც ადამიანს ზეციდან აქვს განსაზღვრული, მაგრამ არაფრის შეცვლა არ შეუძლია.

აბარბანელი ამბობს, რომ აქ საუბარია აბრაჰამისადმი მიცემულ ბერახაზე მემკვიდრეობით მიიღონ ისრაელის მიწა და მსოფლიოში გაავრცელონ მონოთეიზმი. იცხაკი ბუნებრივია, თვლის, რომ პირველი შვილი ღირსია ამისა, მაგრამ მას სურს შეამზადოს იგი მშობლების პატივისცემის მცნების (ქავოდ ავ ვეემ) შესრულებით და თხოვს მას მიუტანოს კერძი. რაბეინუ ბახლი ამ თხოვნაში ხედავს სიმხიარულის გრძნობის გაღვივების სურვილს, რათა ის ღირს იქნას წინასწარმეტყველების მიღებაზე. მაშინ რატომ არ თხოვა ესავს მუსიკალურ ინსტრუმენტზე დაკვრა? რათა დაენახა ის, რაზედაც აძლევდა ბერახას, ბრძანეს ჩვენმა ბრძენებმა. გამჩენმა ხომ გვითხრა: „დაასხით ჩემს წინაშე წყალი, რათა გაკურთხოთ წლის განმავლობაში წვიმებზე.“

სფათ ემეთი თვლის, რომ ესავის დალოცვა, ბერახა, მხოლოდ ამ ქვეყნისათვის იყო (ლეოლამ ჰაზე) განკუთვნილი, მაგრამ ისიც არ სურდა იაკობს პირდაპირ ესავისათვის დაეტოვებინა, ისიც მისი მონაწილეობით უნდა გადაცემულიყო. ხოლო აბრაჰამის ბერახის ესავისათვის მიცემას იცხაკი ისედაც არ აპირებდა.

„და სუნი ჩემი ვაჟის, ისეთივეა, როგორც გამჩენის მიერ კურთხეული მინდვრის სუნი.“

გემარის ნაწილში „ბერახოთ“ ბრძენები ამბობენ, რომ ამ ქვეყნად ადამიანს სიამოვნების მიღება კურთხევის გარეშე არ შეუძლია. ხოლო ის, ვინც კურთხების გარეშე იღებს რაიმეს, ნებართვის გარეშე სიწმინდის მომხმარებლად იწოდება. ამიტომ მთელი სამყარო წარმოგვიდგება როგორც (ჰეკდეშ) ძღვენი (გამჩენისაგან), რომლის გამოსყიდვაც მხოლოდ კურთხევის საშუალებით შეიძლება. სუნის შეგრძნების ბერახას ჩვენ ვსწავლობთ თეილიმის 150-ე ფასუქიდან: „ქოლ ჰანეშამა თეჰალელ“. რა არის ის, რაზედაც სული ღებულობს სიამოვნებას და არა სხეული? ეს სუნია (და ამიტომაც გან ედენის სუნი), ანუ სუნი ერთ-ერთია ადამიანის მიერ სამყაროს შეგრძნების ხუთი ორგანოთაგან, რომელიც ყველაზე მეტად უახლოვდება სულიერებას და განასხვავებს ადამიანს ცხოველისაგან. ცხოველები არ ღებულობენ არომატული სიამოვნებას სუნისაგან. სუნზე შეჰეხეიანუს არ ამბობენ და ამას ჰაშლა ასე გვიხსნის: ეს სიამოვნება ხომ სულისათვისაა, სული მარადიულია, შეეხეიანუს კი ამბობენ იმაზე, რაც სიამოვნებას ანიჭებს სხეულს და არის ამქვეყნიური.

და, რატომ არ ამბობენ ბერახას სუნის შეგრძნების შემდეგ? იმიტომ, რომ ეს არის ძალზე ხანმოკლე სიამოვნება. ასევე არ ამბობენ ბერახას მას შემდეგ, რაც მიირთვეს „კეზაიტა“-ზე (28 გრამის) ნაკლები ზომის რაიმე, რადგანაც ითვლება, რომ პროდუქტი უკვე გადაამუშავა კუჭმა.

---

# როშ ხოდეში

თორის პირველი წიგნის „ბერეშითის“ დასაწყისში ვკითხულობთ: „თავდაპირველად გამჩენმა შექმნა ზეცა და დედამიწა“. ამის შესახებ რაში (რაბი შლომო იცხაკი) კითხულობს: თორა ხომ მცნებების წიგნია, რატომ იწყება ის ამ სიტყვებით? თუ თორა მიცვების წიგნია, ის უნდა დაწყებულიყო იმ პირველი მცნებით, რომელიც ებრაელებმა მიიღეს ხალხად ჩამოყალიბების შემდეგ. ეს მცნება კი არის როშ ხოდეში (თვის განწმენდა (კურთხევა)). მოდით, ვცადოთ გავიგოთ, თუ რა უკავშირდება ამ მცნებას.

როშ ხოდეშისას საკითხავ დამატებით ლოცვაში – „მუსაფი“ვკითხულობთ: „როშ ხოდეშები აღნიშვნა მიეცი შენს ხალხს – დრო მონანიებისა მათი ყველა თაობისათვის, როცა ისინი გწირავენ ნებაყოფლობით შესაწირავს და განწმენდის თხებს ცოდვების გამოსასყიდად. შეხსენება იქნება ეს ყველასათვის და მტრის ხელისაგან სულის გადასარჩენად.“ საინტერესოა ის იდეა, რომ ახალი თვის აღნიშვნა რაღაცნაირად დაკავშირებულია მონანიებასთან. რა თქმა უნდა, ჩვენ ვიცით, რომ ტაძარში შეწირული მსხვერპლი ცოდვას გამოისყიდიდა, მაგრამ სხვა დღესასწაულებზეც ხომ სწირავდნენ მსხვერპლს. რით გამოირჩევა როშ ხოდეში? და რა იგულისხმება მტრის ხელისაგან სულის გადარჩენაში“?

დავუბრუნდეთ წიგნს „ბერეშითი“. იქ შემდეგი რამ შეგვიძლია წავიკითხოთ: „და შექმნა გამჩენმა ორი უდიდესი მნათობი. მნათობი დიდი და მნათობი შედარებით პატარა. წარმოსთქვა მთვარემ გამჩენის წინაშე: „სამყაროს მბრძანებელო, როგორ ატარებს ორი მეფე ერთ გვირგვინს?“ მართლაც, კარგი შეკითხვაა. გამჩენმა უთხრა: „ეს ისეთი კარგი კითხვაა, რომ შენ უნდა წახვიდე და დაპატარავდე. არ შეიძლება ორმა მეფემ ერთი გვირგვინი ატაროს, და რომ არ გვყავდეს ორი მეფე, წადი და დაპატარავდი“.

მთვარე განაწყენდა და უთხრა: „სამყაროს მბრძანებელო, მე ხომ გონივრული რამ გითხარი, შენ კი მე ახლა მაპატარავებ. მხოლოდ მე უნდა დავიტანჯო?!“ გამჩენმა ესმოდა რა, რომ მთვარისათვის რამენაირად გული უნდა მოეგო, უთხრა: „შენ დღისითაც იბატონებ, და არა მატრო ღამით, ღამით კი მხოლოდ შენ იქნები მბრძანებელი!“ დღისითაც ხომ არის ცაზე მთვარე, მაგრამ ის მზის გამო კარგად არ ჩანს“.

უთხრა მთვარემ: „რას მოვიგებ იმით, რომ დღისითაც ვიქნები ცაზე, თუ არ გამოვჩნდები? ეს ხომ დღის შუქზე პატარა სანთლის დარი იქნება. ვინ შეიგრძნობს მთვარეს მზის გვერდით, ეს სრულიად არასერიოზული რამაა!“ უპასუხა გამჩენმა: „კარგი, გეთანხმები. შენით დაითვლის ისრაელი დღეებსა და წლებს, ვერ შესძლებს ისრაელი დღეებისა და წლების დათვლას მთვარის გარეშე.“ ეს უკვე მნიშვნელოვანი თვისებაა. მთვარემ თქვა: „დღეების დათვლა ასევე შეუძლებელია“… რას ნიშნავს ეს? ებრაელები ითვლიან თვეებს მთვარის მიხედვით, ხოლო დღეებს – მზის. და რა განსხვავებაა? ჩვენ ისევ გათანაბრებულნი ვართ, მაშ რიღათი ვარ განსაკუთრებული? დაინახა გამჩენმა, რომ ესეც არ შველის საქმეს და უთხრა: „მომავალში წმინდანები იწოდებიან შენი სახელით – იაკობ პატარა (აქვს ასეთი ფასუქი ამოსს), შმუელ პატარა, დავით პატარა“. მთვარე ამაზე არ პასუხობს. მაგრამ გამჩენმა დაინახა, რომ ვერც ამით მოიგო მთვარის „გული“ და თქვა: „შემომწირეთ მსხვერპლი იმის გამო, რომ მთვარე დავაპატარავე.“ ახლა ჩვენ გვაქვს მსხვერპლთშეწირვა როშ ხოდეშზე. და თქვა რაბი შიმონ ბენ ლაკიშმა: „რით განსხვავდება ახალმთვარეობისათვის მომზადებული თხა, რომელზეც ამბობენ: „გამჩენისათვის“? (სხვა დანარჩენ თხებს აწერიათ განსაწმენდად, ამას კი აწერია „თხა განწმენდისა გამჩენს“.) რატომაა ასე? თქვა გამჩენმა: „ეს თხა – იმის გამოსასყიდია, რომ მე დავაპატარავე მთვარე“.

როგორც ჩანს, როშ ხოდეში იმის გამოსასყიდია, რომ საჭირო იყო მთვარის დაპატარავება.

ებრაელები თავის მხრივ მთვარეს ჰგავნან, რადგანაც მასავით სინათლეს გარედან ღებულობენ და თავად არ უნათებენ გზას სხვებს. გვიხსნის სფორნო, რომ მთვარე სინათლეს მზისაგან იღებს და რაც უფრო მეტად ემალება მზეს, მით უფრო ნაკლებად ანათებს. ჩვენ, ყოველ შემთხვევაში ასე ვხედავთ. და, რაც უფრო მეტად მიემართება მზისაკენ, მით უფრო მეტ სინათლეს გამოსცემს. თვის დასაწყისში ის არ სჩანს, მის შუა რიცხვებში – სავსეა. რაც შეეხება ისრაელის შვილებს, მათ არა აქვთ სინათლის საკუთარი წყარო. ისინი ანათებენ, რადგანაც მიმართულნი არიან გამჩენის სინათლისაკენ.

სფორნო აგრძელებს: „არ გააჩნიათ ისრაელის შვილებს ბედნიერი ვარსკვლავი, და არ აქვთ მათ საკუთარი სინათლე, გამჩენისეული სინათლის გარდა.“ მოაქვთ შენთან თვის დასაწყისში მსხვერპლი. რატომ უნდა გამოისყიდოს ისრაელმა ის, რომ მე დავაპატარავე მთვარე? რატომ ვაპატარავებ მთვარეს? იმიტომ, რომ მთვარე არაა მიმართული მზისაკენ. მაგრამ, განა მე ვამცირებ მთვარეს? ეს თქვენ დედამიწაზე მყოფნი სთვლით, რომ მთვარე პატარავდება. მე არაფერს ვამცირებ. მთვარე არ პატარავდება, ის ან მიმართულია მზისაკენ, ან არა. რატომ არაა ის მიმართული მზისაკენ, როცა პატარავდება? იმიტომ, რომ თქვენ არ გაქვთ მიმართულება. როგორც ნათქვამია: „უნდა გამოისყიდოთ იმიტომ, რომ მე დავაპატარავე მთვარე“. ვისთვის უნდა გამოვისყიდოთ? ჩვენთვის.

სფათ-ემეთი ამბობს: „წერია დავითის სიმღერაში (ფსალმუნში)სახლის კურთხევისას (თეჰილიმი, 30): „გადიდებ განგადიდებ შენ გამჩენო, რადგანაც შენ არ მიეცი საშუალება ჩემს მტერს ეზეიმა ჩემს ზემოთ გამჩენო ღმ-თო ჩემო! შემოგღაღადე შენ და შენ განმკურნე მე. გამჩენო! შენ ამოიყვანე ქვესკნელიდან სული ჩემი, დამტოვე ცოცხალი…“ ვინ ლაპარაკობს აქ? ლაპარაკობს ადამიანი, რომელიც ორმოში იყო და გამჩენმა ააღორძინა. ებრაულად აქ ნათქვამია სიტყვა „დილეტანი“ – „დალა ოთი მილემატა ლემალა“ – „ამიყვანე ქვემოდან ზემოთ“. რატომ გადიდებ შენ გამჩენო? იმიტომ, რომ შენ ამომიყვანე ქვემოდან ზემოთ.

სფათ-ემეთი კითხულობს. ძალიან კარგი, მაგრამ სიტყვას „დილეტანი“ ებრაულად სხვა მნიშვნელობაც აქვს სიტყვიდან „დალ“ – საწყალი, მიუსაფარი, დაკნინებული. გამოდის: „განგადიდებ შენ გამჩენო, რადგანაც შენ დამაკნინე.“

შეხედეთ რა იდეაა: „გამჩენო შენ იცი როდის „დილეტანი“, ამიყვანო ქვემოდან ზემოთ? მაშინ როცა ჩემამდე დავიდა, რომ მე ვარ ადამიანი დაკნინებული (მე არარაობა ვარ). განგადიდებ შენ გამჩენო, რადგან შენ ამომიყვანე მე“, რადგანაც მე ჩემი მიუსაფრობით დამოუკიდებლად არ შემიძლია დავიწყო ასვლა. მაგრამ, მანამ მე ვფიქრობ, რომ ბუმბერაზი ვარ, როგორ შევძლებ ზემოთ ასვლას? მანამ მე საკუთარი სინათლე (შუქი) მაქვს, საითკენ ვარ მიმართული? სად შევძლებ ამაღლებას? მე მაქვს საკუთარი სინათლე. იმისათვის, რომ მქონდეს ამაღლების საშუალება, უნდა ვიყო დაკნინებული, მიუსაფარი. როცა მე ვიქნები მიუსაფარი, მე ვიქნები ყველაზე ამაღლებული. ეს არაა ჩემს ავტონომიურობაზე უარის თქმა, ამაშია მისი არსი. იმისდა მიხედვით, თუ როგორი დაპატარავებული ვარ შენს წინაშე, მე მივდივარ და ვიზრდები, მივდივარ და ვიზრდები.

თორა იწყება შემდეგი სიტყვებით: „თავდაპირველად შექმნა გამჩენმა ზეცა და დედამიწა.“ ამას ჩემთან არავითარი კავშირი არ აქვს. გამჩენმა შექმნა სამყარო და მე შევედი ამ სამყაროში. სად უნდა დაწყებულიყო თორა? ის უნდა დაწყებულიყო იმ დღეს, როცა მე დავიბადე, იმ დღეს, როცა მე ხელახლა ვიწყებ მზისაკენ სწრაფვას. „თვე ეს თქვენთვისაა“. აიღო ის (თვე, რომელიც იბადება) გამჩენმა და უთხრა მოშეს: „შეხედე, როგორ ადიან სულ ზემოთ და ზემოთ“.

მზისა და მთვარის ისტორიაში ბოლოს და ბოლოს გამჩენმა თქვა: „ყველაფერი რიგზე იქნება, წმინდანებიც ხომ პატარებად იწოდებიან.“ შენ იცი, რა არის ყველაზე დიდი შვება მათთვის, რომელიც მე შემიძლია მივცე მათ? იმისათვის რას ნიშნავს იყო ყველაზე დიდი – იყო ყველაზე პატარა. მომავალში წმინდანებსაც ასე უწოდებენ – დავით პატარა, შმუელ პატარა, იაკობ პატარა.

სიტყვების „თავდაპირველად შექმნა“ აზრი იმაშია, რომ გამჩენმა შექმნა სამყარო და ახლა ის არსებობს. რა მოხდა მაშინ, როცა ისრაელის შვილებმა მოისმინეს სიტყვები „თვე ეს თქვენთვის“ – ეგვიპტეში ახალი თვის დასაწყისში? იქ იდგა ფარაონი და თქვა: „ვინაა გამჩენი, რომლის ხმასაც მე გავიგებ? არ ვიცოდი მისი სახელი.“ და მაშინ გაირკვა, რომ გამჩენი განაახლებს სამყაროს და არა მარტო შექმნა ის. ეს ნათელი გახდა ეგვიპტიდან გამოსვლის შემდეგ.

რას ნიშნავს გამოსყიდვა? როცა ადამიანი თავის დანაშაულს გამოისყიდის, ის განახლდება, და ამაშია გამოსყიდვის სირთულე, რომ ადამიანი მცირდება. მაგრამ სამყაროში დიდი სიხარულია იმის გამო, რომ ადამიანი ხელახლა უბრუნდება თავისი არსებობის პირველწყაროს. მაშ, არ გაქვს შენ იმაზე დიდი სიხარული, ვიდრე როშ ხოდეშში და იმაზე დიდი გამოსყიდვა, ვიდრე როშ ხოდეშში.

რაც შეეხება მტერს, რომელიც ჩვენ ვახსენეთ როშ ხოდეშის მუსაფის ლოცვის ციტირებისას: არის სპეციალური ლოცვა, რომელსაც ჩვენ ვკითხულობთ თვის პირველ ნახევრამდე. მას „სედერ კიდუშ ჰალევანას“ (მთვარის განწმენდის წესი) უწოდებენ. ამ ლოცვაში არის ასეთი სიტყვები: „ისევე, როგორც მე ვხტუნაობ შენს წინაშე და ვერ გეხები, ჩემი მტრებიც ნუ შემეხებიან მე“. ყველაფერი ის, რაზეც ჩვენ უკვე ვისაუბრეთ, იყო ადამიანის განახლება, რაც დამოკიდებულია თავად ადამიანზე. მტერი, რომელიც ჩვენ ვახსენეთ ყველა ჩვენგანში ზის. უნდა გავიგოთ, რომ გამჩენამდე ახტომას ჩვენ ვერ შევძლებთ და მისი შეცვლაც სხვა არსებით არ შეგვიძლია. თუ ჩვენ ამას გავიგებთ, მაშინ ჩვენი შინაგანი მტერი ვერაფერს დაგვაკლებს.

ადამიანის სხეული მატერიალურია და ის იმონებს მის სულს. ადამიანს აქვს ნებისა და არჩევანის თავისუფლება. საფეხურებზე ასვლის საშუალება მისთვის დაკავშირებულია დაცემის ალბათობასთან. განთავისუფლების საშუალება ითვალისწინებს დამონების ალბათობას. გამჩენის ნებით ადამიანი შექმნილია როგორც სრულყოფილი და თავისუფალი არსება, გამჩენის მსგავსად. და რადგანაც ჩანაფიქრში ჩადებული იყო ადამიანის დაცემის ალბათობა, მასთანვე შეიქმნა განახლების ძალებიც, რომლებიც საჭიროა ადამიანის სულიერი აღორძინებისათვის.

ეს ძალები ადამიანს არ უნდა მიეღო საჩუქრად, ავტომატურად. მას თავად უნდა ეზრუნა იმისათვის, რომ დაემსახურებინა განახლებისათვის საჭირო ძალების მიღება. სამყაროში ამ განახლების ძალის გამოსამჟღავნებლად განსაზღვრული დრო დადგინდა. იმისათვის, რომ ადამიანს სცოდნოდა როდის დადგება ახალ საწყისთან „შეხვედრის“ დრო, შეიქმნა მთვარე მისი განახლებადი სინათლით – აშკარა ნიშნის

**(დასასრული მე-8 გვ.)**

(მეშვიდე გვერდიდან)

მიმთითებლად. ადამიანი კი ჩაფიქრებული იყო განახლების თორმეტი სტადიის გადამტანად, რომლებიც შეესაბამება მთვარის თორმეტ თვეს, და ამან გამოიწვია თორმეტი თანავარსკვლავედის – ზოდიაქოს ნიშნის შექმნა.

მთვარის თვის ხანგრძლივობა 29,5 დღეა, რაც გამოხატავს ადამიანის სულიერი ცხოვრების განსაკუთრებულობას. როგორც ცნობილია ადამიანის ქცევები თავის დაღს ასვამენ მის ხასიათსა და ჩვევებს. ერთჯერადი ან ორჯერადი მოქმედება ჯერ კიდევ შემთხვევითია და მისი ადამიანზე ზემოქმედება მინიმალურია. მაგრამ სამჯერადი მოქმედება, ჩვენი ბრძენების აზრით, უკვე ჩვევაა. სამჯერ კარგი საქციელით ადამიანი თითქოსდა პირობას დებს ასეთივე ქცევაზე.

თვეში ოცდაათი დღე გამოდის სამჯერ ათი და ეს არაა შემთხვევითი. სამი არის ჩვევის სიმბოლო, ათი კი – მთლიანობის, რომელიც ამ ჩვეულ ქმედებას ყველა ასპექტში წარმოგვიჩენს. ათი გამოთქმით გამჩენმა სამყარო შექმნა, ათ მცნებაში მთელი თორაა კონცენტრირებული, ათი ცემულობით საძირკვლიანად განადგურდა ეგვიპტის იმპერია. აკეთებს რა ადამიანი ოცდაათი დღის განმავლობაში ჩვეულ ქმედებას, შეიძენს ახალ სულიერ თვისებებს.

ადამიანი არავის მონა არ უნდა იყოს, თავისი ჩვევისა და ქცევებისაც კი. ამისათვის დაგვიდგინა გამჩენმა 29 დღიანი მთვარის ციკლი. ერთი დღით ადრე განსაკუთრებულ ოცდამეათე დღემდე ადამიანმა უნდა შეწყვიტოს ქმედება და კრიტიკული თვალით შეამოწმოს საკუთარი ქცევები 29 დღის განმავლობაში, რათა გამოასწოროს დაშვებული შეცდომები. ოცდაათ დღეში ერთხელ ადამიანი იკრებს გამბედაობას და ამოწმებს განვლილ დღეებს, რათა განთავისუფლდეს მავნე ჩვევების ხლართებიდან, აკრძალული აზრებისაგან, უარყოფითი ქცევებისაგან და ცუდი თვისებებისაგან. განწმენდილი ადამიანი ხვდება გამჩენს როშ ხოდეშზე. სულიერი სინათლე ერწყმება ახალი თვის სინათლეს. გამჩენისაგან გამოგზავნილი განახლებისათვის საჭირო ძალები ავსებენ ადამიანის სულს. მისმა მცდელობამ ნაყოფი გამოიღო. ამ შეხვედრის წყალობით ის შეძლებს ამაღლდეს საკუთარ სისუსტეებსა და ნაკლზე, შეძლებს შეამციროს საკუთარ თავსა და სამყაროში ბოროტება და გაამრავლოს სიკეთე.

რაც არ უნდა შორს იყოს ადამიანი საკუთარი თავისაგან, ხალხისაგან, გამჩენისაგან, ქვეყნისაგან, მისთვის როშ ხოდეში არის შესაძლო განახლების, საწყისთა საწყისთან შეხვედრის საშუალება.

ახალი თვის დაწყებას ადგენდა საგანგებო მოსამართლეთა კოლეგია – სპეციალური ბეით დინი. სპეციალურად ითვლება ის ბეით დინი, რომლის წევრებიც საკუთარმა მასწავლებლებმა აირჩიეს და გადასცეს მათ ამის უფლება. ასე იყო მასწავლებლიდან მოსწავლეზე გადასვლა თავად მოშე რაბეინუდან მოყოლებული. ასეთ ბეით დინს შეუძლია გამოიტანოს ახალი თვის დადგომის გადაწყვეტილება იმ მოწმეთა ჩვენების საფუძველზე, რომელთაც თავად იხილეს ახალი მთვარე. მხოლოდ ამის შემდეგ აკურთხებენ და განწმენდენ მას ბრძენები.

როცა რაბი ჰილელმა, სანჰედრინის ბოლო პრეზიდენტმა (ნასიმ), რაბი იეჰუდა ჰანასის (მიშნის შემდგენელი) შვილიშვილმა, დაინახა, რომ ისრაელის ხალხს დიდი უბედურება დაატყდა თავს და მასწავლებლიდან მოსწავლეზე უფლების მომღებთა რიცხვმა იკლო, გაიფიქრა, რომ რომაელები, რომლებიც მაშინ ისრაელის მიწაზე ბატონობდნენ, აკრძალავენ ახალი თვის განწმენდის რიტუალს და დახოცავენ იმ ბრძენებსაც, რომელთაც შეეძლოთ კანონების სწავლება და გადაცემა, დაირღვეოდა ებრაული დღესასწაულების თანმიმდევრობა. მან შეკრიბა ბრძენები, ისინი ვისაც მასწავლებელთაგან ჰქონდათ კანონების გამოყვანის უფლება (სმეხა) და ამ შემადგენლობის ბეით დინმა გაითვალეს ახალი მთვარის, დღესასწაულებისა და სხვა მნიშვნელოვანი თარიღების კალენდარი, მაშიახის მობრძანების პერიოდამდე. მათ წინასწარ აკურთხეს და განწმინდეს ყველა ახალი მთვარის დადგომა. ამის შედეგად ახალი თვის კურთხევა არ შეწყვეტილა მოშე რაბეინუდან დღემდე და მისი სიწმინდე შენარჩუნებულია ჩვენს დროშიც.

**რაბი ავიმელეხ როზენბლატი**
**გამოყენებულია ზეევ დაშევსკისა და რაბი შიმონ გრილიუსის სტატიები**

# ებრაული სახლის ქრონიკა

## 1. საქველმოქმედო კონცერტი



15 ნოემბერს თბილისის ებრაულ სახლში კულტურულ-საგანმანათლებლო ფონდის საქველმოქმედო კონცერტი გამართა. კონცერტში მონაწილეობდნენ კულტურულ-საგანმანათლებლო ფონდთან არსებული ანსამბლი „კინორი“ და ამავე ფონდთან არსებული საბავშვო ჯგუფის „შალომ, სეზამის“ აღსაზრდელები.

შესრულდა მსოფლიოს ებრაელ კომპოზიტორთა: ნ. შელერის, სარა და ეჰუდ ცვაისების, ენიო მორიკონეს, ჯ. მენდელის, ჯ. ეაიტის, მ. ალბერტის, ელვის პრესლის, ლ. ცფასმანის ჯ. გერშვინის, ჩ. ჩაპლინის, ჰ. მანჩინის ნაწარმოებები.

კონცერტი აუქციონით დასრულდა. „შალომ, სეზამის“ აღსაზრდელებმა და ფონდის თანამშრომლებმა შოკოლადები და კანფეტები გაყიდეს. შემოსული თანხა მოხმარდა ხელმოკლე ბავშვებს.

## 2. სემინარი „ანტისემიტიზმი“

9 ნოემბერს თბილისის ებრაულ სათემო სახლში საერთაშორისო ფონდმა „ლეამ“, რომლის პრეზიდენტია მარინე სოლომონიშვილი, სემინარი ჩაატარა. სემინარის თემა გახლდათ „ანტისემიტიზმი“.

სემინარს ესწრებოდნენ სხვადასხვა პროფესიის ქალბატონები. მარინე სოლომონიშვილმა სემინარი ლექციით გახსნა. მან დამსწრეთ 1936 წ. ნაცისტური გერმანიის მიერ ეთნიკურ დევნაზე ესაუბრა, როდესაც დღეში ასახლებდნენ ათობით ათას ადამიანს, მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი ებრაელები იყვნენ.

კითხვაზე – თუ განუცდიათ, საქართველოში ანტისემიტიზმი, ყველამ ერთხმად უარი განაცხადა.

## 3. ხსოვნის საღამო

2 ნოემბერს ებრაულმა საზოგადოებრიობამ ებრაულ სახლში კიდევ ერთხელ გაიხსენა ნობელიანტი პრემიერ-მინისტრი იცხაკ რაბინი. ღონისძიება მოამზადა ებრაულმა სახლმა, ისრაელის საელჩოსთან არსებულმა კულტურის ცენტრმა, კულტურულ-საგანმანათლებლო ფონდთან არსებულმა პოეზიის წრემ, სოხნუთმა და „ჰილელი-თბილისმა“.

ღონისძიება ზაირა დავარაშვილმა გახსნა. მშვიდობის ჯარისკაცზე – იცხაკ რაბინზე ისაუბრა და გაიხსენა აშშ-ს მაშინდელი პრეზიდენტის ბილ ქლინთონის სიტყვა, რომელიც მან იცხაკ რაბინის თაობაზე წარმოთქვა.

ზაირა დავარაშვილმა შეკრებილთ სთხოვა ფეხზე ადგომით და წუთიერი დუმილით პატივი მიეგოთ პრეიმიერის ხსოვნისთვის. საქართველოს მთავარი რაბინის მოვალეობის შემსრულებელმა ავიმელეხ როზენბლატმა სანთელი აანთო და კადიში წაიკითხა.

იცხაკ რაბინზე დოკუმენტური ფილმისა და სიმღერის ფონზე, რომელსაც ისრაელის საელჩოსთან არსებული კულტურის ცენტრის ახალგაზრდული კლუბის წევრი დათო შაფთოშვილი ასრულებდა დარბაზში ღონისძიების მონაწილეები: ლარისა ნამთალაშვილი, ნინა აბგაროვა, დიანა აგორონოვა, ზაირა დავარაშვილი, ლეა სოლომონიშვილი, მერაბ დავარაშვილი, ირმა აბაშიძე, ქეთი თოდაძე და მორის კრიხელი შემოვიდნენ და სიმღერას აყვნენ.

მონაწილეებმა ქართულ, ებრაულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე წაიკითხეს იმ სიმღერის ტექსტი, რომელსაც იცხაკ რაბინი სიცოცხლის ბოლო წუთებში მღეროდა. მათ ის სიტყვებიც გაიხსენეს, რომელიც პრემიერ-მინისტრს წარმოუთქვამს პოსტზე ყოფნისას სხვადასხვა პერიოდში.

საელჩოს სახელით სიტყვა საქართველოში ისრაელის საელჩოს პირველმა მდივანმა მეირა საგიმ წარმოთქვა.

ღონისძიების მონაწილეებმა ისრაელ-ლიბანის ომში დაღუპულ 137 ჯარისკაციც გაიხსენეს. მათ ჯარისკაცების და მათი ახლობლების წერილები წაიკითხეს. „ჰილელი თბილისის“ დირექტორმა მორის კრიხელმა საკუთარი სიმღერა „შაბათ შალომ“ იმღერა. დასარულს კი შესრულდა ებრაული სიმღერა და ისრაელის ჰიმნი, რომელიც მონაწილეებთან ერთად დარმაზში მყოფმა სტუმრებმაც შეასრულეს.

(მეხუთე გვერდიდან)

იქნება იმის წარმოდგენა, რა უნდა იყოს ასეთი გადაწყვეტილება. 1940 წლის სექტემბრიდან ადოლფ ეიხმანის ჯგუფი მუშაობდა „ებრაული საკითხის საბოლოო გადაწყვეტის უეჭველ მოახლოებაზე“ (die zweifellos kommende Endlosung der Judenfrage) მუფტიასა და ჰიტლერის შეხვედრის მომენტში ოთხი მობილური აინზაც-ჯგუფი (Einsatzgruppen A, B, C, D), შემტევი გერმანული არმიის ზურგში უკვე ანადგურებდა, ადგილობრივი კოლაბორაციონისტების დახმარებით, ასობით ათას ებრაელს სსრკ-ს ოკუპირებულ რაიონებში. 1941 წლის 3 სექტემბერს ოსვენციმში პირველად გამოიყენეს გაზის კამერები. ერთი თვის შემდეგ ებრაელები გაყარეს გერმანიიდან გეტოებში და აღმოსავლეთის საკონცენტრაციო ბანაკებში. მაშინვე, 1941 წლის ოქტომბერ-ნოემბერში, ბელჟეცსა და ჰელმნოში დაიწყო სიკვდილის ბანაკების მშენებლობა, მათ კონკრეტული დანიშნულება ჰქონდა – სისტემატური, სამრეწველო საფუძველზე დაყენებული ხოცვაჟლეტა ებრაელი ხალხისა.

ორ თვეზე ნაკლები რჩებოდა ვანზეის ცნობილი კონფერენციის ჩატარებამდე, რომელმაც განსაზღვრა მესამე რეიხის სამხედრო და სამოქალაქო ინსტანციების ურთიერთდამოკიდებულების კონკრეტული ხასიათი იმ 11 მილიონი ებრაელის განადგურებაში, რომლებიც ევროპის მთელ ტერიტორიაზე – ირლანდიიდან ურალამდე, ნორვეგიიდან სარდინიამდე – ცხოვრობდნენ. შემდეგ ეტაპზე ნაცისტების მიერ მიღებული გადაწყვეტილება გულისხმობდა „იგივე მიდგომას არაევროპული ხალხებისადმი“, „პალესტინაში ებრაული კერის“ ბუნებრივ ლიკვიდაციას, რომელიც „სხვა არაფერია, თუ არა სახელმწიფო ფორმამიღებული ცენტრი ებრაული ინტერესების დამანგრეველი გავლენის რეალიზაციისათვის.“

ამ მიმართებით, ჰიტლერი ადვილად იპოვიდა საერთო ენას ბევრ თანამდეროვე ანტიგლობალისტთან. ვანზეის კონფერენციის პროტოკოლში არ არის უხეში სიტყვები („განადგურება“, „მასიური მკვლელობები“, „ტოტალური ამოხოცვა“ და ა.შ.).

ამ დოკუმენტში მოცემულია ებრაელთა იძულებითი ემიგრაცია რეიხის ტერიტორიიდან; ჩამოთვლილია ამასთან დაკავშირებული ფინანსური და პოლიტიკური სიძნელეები; შემდეგ კი ნათქვამია, რომ „ომიანობის დროს ემიგრაციის საშიშროების შედეგად და აღმოსავლეთში აღმოჩენილი ახალი შესაძლებლობების გამო რეიხსფიურერმა და გერმანიის პოლიციის მეთაურმა აკრძალა ებრაელთა ემიგრაცია.“ შემდეგ პუნქტში აღნიშნულია: ახლა გამოჩნდა ემიგრაციისაგან განსხვავებული შესაძლებლობა; კერძოდ, ებრაელთა ევაკუაცია აღმოსავლეთში იმ პირობით, რომ შემდგომში ფიურერის სათანადო მოწონებას მიიღებენ. თუმცა ეს ზომები განიხილება, როგორც საორიენტაციო, უკვე ახლა მიღებული პრაქტიკული გამოცდილება უდიდესი მნიშვნელობისაა ებრაელთა საკითხის საბოლოო გადაწყვეტის მომავლისათვის“.

ამ დროს, პრაქტიკული გამოცდილება შეიძინება ბაბი იარის, რუმბულისა და პონარის დასახვრეტ ორმოებთან, ოსვენციმში გაზის ექსპერიმენტების მიმდინარეობისას, ბელჟეცსა და ჰელმნოში სიკვდილის ბანაკების მშენებლობის დროს. მუფტიამ შესანიშნავად იცოდა, რა იგულისხმებოდა „ებრაული საკითხის საბოლოო მოგვარებაში“. სწორედ ამიტომ თანამშრომლობდა ასე ხალისიანად ჰიტლერთან და იმასაც პატიებდა ნაცისტურ გერმანიას, რომ უცებვე არ გამოვიდა მისთვის სასურველი დეკლარაციით. მას უნდოდა, მონაწილეობა მიეღო მთავარ საქმეში, უფრო მნიშვნელოვანში, ვიდრე ახლოაღმოსავლეთში მიმდინარე პოლიტიკის პერიპეტიები იყო – ებრაელი ხალხის განადგურებაში.

ამგვარად, მუფტიას თანამშრომლობა ჰიტლერთან თავიდანვე მყარ იდეოლოგიურ საძირკველზე იყო დაყრდნობილი. გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივებში შემონახულ მათ საუბრების ჩანაწერებს ძირითადად ემთხვევა ხაჯი-ამინ ალ-ჰუსეინის პირადი შენიშვნები. ამასთან, მუფტიას თავის დღიურებში მოჰყავს ჰიტლერის განაცხადი, რომელზეც კრინტს არ სძრავენ გერმანული დოკუმენტები: „ბედნიერი ვარ, რომ თქვენ გადარჩით და ახლა აქ ბრძანდებით. მოვა დრო, როცა თქვენ გახდებით ბატონი, ამ სიტყვის უმაღლესი გაგებით, და არა მხოლოდ შუამავალი, რომელსაც ჩვენს დეკლარაციებს გადასცემენ. თქვენ იქნებით ის ადამიანი, რომელიც იბატონებს არაბულ ძალებზე; და იმ მომენტში, იმის წარმოდგენაც კი არ შემიძლია, რა დაემართებათ დასავლეთის ხალხებს.“

შესაძლოა, მუფტია ტრაბახობდა, როცა ამ სიტყვებს ჰიტლერს მიაწერდა. მაგრამ თუნდაც ამ შემხთვევაში, ჩვენ შეგვიძლია ჩავწვდეთ, თუ რა როლში ესახებოდა მას თავისი თავი და რა ბედს უმზადებდა დასავლეთის ხალხებს ეს პალესტინის ნაციონალიზმის ფუძემდებელი.

დაახლოებით იგივე მიზეზებით დამკვიდრდნენ ბერლინში სხვა არაბული ქვეყნების ლიდერებიც ერაყიდან, ეგვიპტიდან, სირიიდან, ლიბანიდან და ზოგი სხვა ქვეყნიდანაც. პოლიტიკურ და გეოგრაფიულ მიმართებაში იტალია უფრო ხელსაყრელ ადგილად უნდა მიჩნეულიყო ხმელთაშუაზღვას და ახლო აღმოსავლეთში სამუშაოდ, მაგრამ არაბების თვალში ჰიტლერიზმი იმდენად მიმზიდველი იყო, რომ ისინი ბერლინისკენ მიისწრაფოდნენ თვით კონიუნქტურული რეზონის მიუხედავად. ისინი მჭიდროდ შემოერტყნენ გარს მუფტიას მიერ შექმნილ არაბულ ინსტიტუტს, რომელიც ებრაულ საკითხსა და მის მსგავს დაწესებულებებს მოიცავდა. ეს ჯგუფი არაბი ნაცისტების რწმენითა და სიმართლით ემსახურებოდა ჰიტლერს 1945 წლამდე.

ჰიტლერისა და მუსოლინისადმი სიმპატიებით იყო შეპყრობილი თითქმის მთელი არაბული სამყარო მეორე მსოფლიო ომის პერიოდში. და მაინც, ხაჯი-ამინ ალ-ჰუსეინი გამოირჩეოდა თვით ამ გამომხატველ ფონზე. სწორედ მისი პიროვნება გახდა ისალმურ-ტევტონური სინთეზის სიმბოლო, რომელიც ტოტალური მეტაფიზიკური იუდოფობიის საწყისებზე შეიქმნა.

სწორედ ისაა მთავარი გმირი, როცა ვლაპარაკობთ გერმანიის შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში მრავალრიცხოვან მუსლიმურ ფორმირებებზე; ევროპელი ებრაელების განადგურებაზე და ისლამური ფაქტორის გასაოცარ ინტეგრაციაზე СС-ის ელიტარულ სტრუქტურებში.

**დოვ კონტორერი**
**„ვესტი“**

„ჯოინთი“ და თბილისის ებრაული სათემო სახლი თანაგრძნობას უცხადებენ პროგრამა „ბავშვთა ინიციატივის“ კოორდინატორს ნათია პაპისმედოვას დედის

**იოხაბედ (ირა) თეთრუაშვილ-პაპისმედოვას**

გარდაცვალების გამო.

დამფუძნებელნი და გამომცემელნი:
**გურამ ბათიაშვილი, კოტე აბაშიძე**
**თბილისი, ლეონიძის 11ა, ვახტანგ VI ქ. №30**
**ტელეფონები: 99.90.96, 77.20.57**

რეგისტრირებულია ქ. თბილისის მთაწმინდის რაიონის სასამართლოს მიერ.
რეგისტრაციის № 4/1-921

რედაქტორი
გურამ ბათიაშვილი